

სარგბიელი

საორტული გაზეთი ოთხშაბათი 6 აპრილი 2008 №180 (3404)


ფასი 50 თეთრი

ბერძნები საღისით ბრძნობენ: სამი გოლი ჩვენია, მარამ... დინამოელები ქომაგების გასაბოლოდ: სამი გოლი მათია, მარამ... დღეს დინამოს ჩემპიონთა ლიგის მატჩი აქვს



პადრი კითხვების ფოტოები

არ მოიწყინოთ, არ მოიწყენოთ! ვატარა საქართველოს დიდი ოლიმპიური წონა აქვს თქვენი-გერცხელი ათობით გვეთვლება და ვინ რას უბრუნებებს პეკინში...



გურამ დოღვაძის ფოტო

ორიოდ დღეც და, მოსაწყენად აღარ გვეცლება. მოწყენა კი არა, ემოციებით სავსე დღეები გველოდება — პეკინში ოლიმპიადა იწყება. სანერვიულო ქართველებს ბევრი გვექნება. პეკინიდან რამდენიმე ოქროს მედალს ველით.

ამ მოლოდინს კი სავსებით რეალური საფუძველი გააჩნია: ქართველ ოლიმპიელთა შორის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორებიც არიან. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს 30 ოლიმპიური ჩემპიონი და უამრავი პრიზიორი ჰყავს, რომელთა ვინაობასაც დღევანდელ „სარბიელშიც“ შეგახსენებთ.

პეკინში კი, თუ ვინმეს იმედი გვაქვს, ერთ-ერთი თავისუფალი სტილით მოჭიდავე რევაზ მინდორაშვილია.

ჩვენი ფალავნისა და ჯილასთვის ეს მეორე ოლიმპიადაა. ათენში „მინდორამ“ როგორც შეუძლია, ისე ვერ იჭიდავა, ჯგუფში ჩარჩა, მაგრამ მას შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და რა გასაკვირია, პეკინში ოქროსთვის რომ იბრძოლებს. დღევანდელ „სარბიელში“ რევაზ მინდორაშვილთან ინტერვიუსაც ვთავაზობთ.

რევაზ მინდორაშვილი

საქონიან პანათინაიკოსს, რა თქმა უნდა, ახსოვს: მეტოქე უნდა დააფასო!

თბილისი. 6 აგვისტო. 20.00 საათი. ირუმული

ლინაო — პანათინაიკოსი (0:3)

„პანათინაიკოსი“ გუნდს ჩა-
რტერული რეისით ჩამოფრინდა
თბილისში და „თბილისის“ მერიო-
ტში“ დაბინავდნენ. გუნდს რამდენ-
იმე ათეული გულშემატკივარი და
ოცამდე ყურნალისტი ჩამოჰყვა.

„პანას“ მთავარ მწვრთნელს პენკ
ტენ კატეს „ეროვნულზე“ 18.30 წუ-
თზე ჰქონდათ დანიშნული პრეს-
კონფერენცია და საბერძნეთის ჩე-
მპიონი სტადიონს 15 წუთით ადრე
მოადგა.

პირველი ავტობუსიდან გუნდის
ერთ-ერთი წარმომადგენელი ჩამო-
ვიდა და მას მოჰყვა ტენ კატეც.
ფეხბურთელებიდან ყველაზე ბო-
ლოს გუნდის ლიდერები, ახლახან
ლონდონის „არსენალიდან“ გადა-
ბარებული ბრაზილიელი დარო
სილვა და გეორგიოს კარაგუნისი
ჩამოვიდნენ. ბრაზილიელს საკმა-
რდ არხეინი იერი ჰქონდა, ყურსა-
სმენები ეკეთა და მუსიკას უსმენ-
და.

პრესკონფერენცია დანიშნულზე
ხუთი წუთით გვიან დაიწყო და
თავიდან ქართულ და ბერძენ ყუ-
რნალისტებს გუნდის კაპიტანი ია-
ნის გუმასი წარუდგა, ტენ კატე
გვიან შემოგვიერთდებო.

გუმასი: „მატჩს მაქსიმალური მო-
ბილიზება უნდა შევხედეთ. მეტო-
ქე ჯერონად თუ არ შევაფასეთ
დავისჯებით, საქართველოში მო-
საგებად ჩამოვიდით. ჩვენ ეს ეტა-
პიც უნდა გადავლახოთ და საე-
როლოდ, „პანათინაიკოსის“ მიზანი ჩე-
მპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე
გასვლაა.“

— პირველ შეხვედრაში რომე-
ლი ქართველი ფეხბურთელი და-
გამახსოვრდით?

— როგორ გითხრათ, იქ განსა-



ბარნი კითხვას ფოტო

კუთრებულად არც ერთს უთამა-
შია.

ჩვენ საბერძნეთში პირველები
ვართ და გვიანდა, ევროპაშიც მო-
წინავენი ვიყოთ, ამისთვის კი ბე-
ვრი შრომაა საჭირო და ჩვენ ამი-
სთვისაც მზად ვართ. „პანათინაი-
კოსი“ ყოველთვის მოსაგებად თა-

მაშობს და ასე იქნება თბილისშიც
— ასე დაამთავრა თავისი სიტყვა
„პანათინაიკოსის“ კაპიტანმა და და-
რბაზი დატოვა.

ბერძენთა ჰოლანდიელი მწვრთ-
ნელი პენკ ტენ კატეც ორ წუთში
მოვიდა და პრესკონფერენცია გა-
ნახლდა. „პირველი მატჩი შინ გე-

ქონდა და შემტევი ფეხბურთი უნდა
გვეთამაშა, ხვალაც თუ შანსი მო-
გვეცა, აუცილებლად შევუტევთ.
ათენურ შეხვედრაში ბევრი ფეხ-
ბურთელი გვაკლდა და გასულ მა-
ტჩთან შედარებით ბევრ ცვლილე-
ბებს ვეგეგმავთ. „დინამო“, „რუნაე-
კთან“ საშინაო მატჩში პირველი

წუთებიდანვე უტევედა და ჩვენ ვე-
ცდებით, ამის საშუალება არ მი-
ცევთ.

რაც შეეხება დარო სილვას, იგი
სულ ორი კვირაა რაც „პანათინაი-
კოსშია“ და ოპტიმალურ ფორმა-
მდე ეს საკმარისი დრო არ არის.
ხვალ ალბათ რამდენიმე წუთს მი-
ცვეთ.“

ტენ კატემ პრესკონფერენცია და-
ასრულა და გუნდს შეუერთდა. მის
თანაშემწეებს „პანათინაიკოსის“ უკვე
სავარჯიშოდ გაეყვანათ და მცირე
მოთუვაც მოესწროთ.

სანამ წვრთნას დაიწყებდა, ჰო-
ლანდიელმა ფეხბურთელები შემო-
იკრიბა და გაესაუბრა. შემდეგ მცი-
რე მონაკვეთზე რამდენიმე წუთი
აჩქარებები აკეთებინა.

სიმკაცრით ცნობილი ტენ კატე
გუმინდელი ვარჯიშისას საკმაოდ
ხალისიანი იყო და უხასიათობას
არც ფეხბურთელები უჩიოდნენ. ისე,
რა აქვთ სადარდებელი, ცალი ფე-
ხით ხომ შემდეგ ეტაპზე არიან.

სხვათა შორის, „პანათინაიკოსის“
ვარჯიშზე არ გამოჩენილან მათი
გულშემატკივრები, ალბათ, ჩვენი
დედაქალაქის დათვალიერებაში გა-
ერთნენ. ყურნალისტებს 20 წუ-
თით მოგვეცეს ვარჯიშის ყურების
საშუალება და მერე ტენ კატემ
ვარჯიში დახურა.

„პანათინაიკოსმა“ თბილისში ეს
ფეხბურთელები ჩამოიყვანა:

მალარცი, გალინოვიჩი, გუმასი,
სარიევი, მატოსი, სალპიგედისი, ნი-
ნისი, გაბრიელი, ჟილბერტო სი-
ლვა, მანტუოსი, სიონტინი, ვიდრა,
ნილსონი, რუკაინა, სპოუპოლისი,
კარაგუნისი, სიმაო, კლეიტონი.

წუპრი ლოლაძე



იანის გუმასი



პენკ ტენ კატე

ბარნი კითხვას ფოტო

ჩემპიონთა ლიგა 2008-2009 მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ვენსტაძილსი (ლატვია) 2:1 პრანტი (ნორვეგია) (0:1)
1:0 მინთეზაშვილი (6), 2:0 რიმუსი (44), 2:1 ბორნსონი (50)
კაუნასი (ლიტვა) 2:1 რაინაჟირსი (შოტლანდია) (0:0)
0:1 ტომსონი (33), 1:1 რადმიუსი (43), 2:1 პილიბატისი (86)

ამსანავური მატჩები

- ბარაპალდო 0:3 ოსასუნა
- კოტაუსი 2:1 ტილზურგი
- ლეგსი 0:0 ვირდარი
- ტრაპუნე 2:3 ვოლფსბურგი
- ვოლარიანა 1:4 ლივირპული
- ანკარა 0:2 ტვენტი
- გაასლანდი 2:1 რუზილარი
- ბაიერნი 0:1 ინტარი
- დარლინგტონი 0:5 მიდლსბრო
- ჰივარენიანი 0:1 უიგანი
- საუთჰემპტონი 2:3 სტოკი
- სუმსი 1:0 დიე პააგი
- უოლსოლი 2:0 ვისტ ბრომვიჩი
- ჰირენვინი 2:1 ძსანთი
- რაიო ვალეკანო 2:4 ატლანტიკო
- უელვა 2:1 გალგა

შოტლანდია

- ლიგის თასი I ეტაპი
- დამბარტონი 1:1 (5:4) ანანი
- პარტიკი 4:3 დედ. (2:2) ფორფარი
- სტივენაჟუზური 1:5 სტ. ჯონსტონი
- ალბიონი 0:0 (3:4) რაითი
- ალთა 2:0 ელვინი
- კლაიდი 4:1 ძუინზ პარკი
- მონტროუზი 0:2 კოუდინგითი
- პიტარკვილი 0:2 დანფარმლინი
- როსი 2:3 დედ. (2:2) მრდრი
- სტრანარბი 3:6 მორტონი

უკრაინა

ალსვენსკა. XVII ტური
იუბოროდანი — ნორჩიუნი 0:0 გადაიდო

ირლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ბოკოვიანსი 2:1 შოპროკი

რუსეთი

თასის 1/16 ფინალი
სმენა 1:1 დედ. (პენ. 3:5) რუზინი



ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩისთვის საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო“ დღეს „ეროვნულზე“ დაუხვდება ათენის „პანათინაიკოსს“ და იმ სამბურთიანი სხვაობის გაბათილებას ეცდება, რაც ერთი კვირის წინ ათენის „ოლიმპიურზე“ დაფიქსირდა.

„დინამო“ იმედინადაა და შემაერთებით ემზადება დღევანდელი ომისთვის, თუმცა კი ანგარიშში ჩამორჩენის გარდა ჩვენებს სხვა სერიოზული, საკადრო პრობლემებიც აქვთ. მოგეხსენებათ, გუნდის ერთ-ერთი ლიდერმა გიორგი მერებაშვილმა ოპერაცია გაიკეთა და თვენახევარს ვერ ითამაშებს. ათენური მატჩისას დაშავდა კაპიტანი დავით დიღმელაშვილი და ახლა, ყველაზე ცოტა, ათდღიანი უქმობა მასაც მოუწევს. დიღმელაშვილს მენისკი აწუხებს. ხოლო მცველები ალექო ინწკირველი და მერაბ კაშია დღეს „დინამოს“ დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებიან. თითქოს ეს არ კმაროდა და, გუნდისგან ცალკე ვარჯიშობდა უჩა ფირცხალავაც. როგორც გვითხრეს, მას ფეხი აწუხებს, თუმცა „პანათინაიკოსთან“ თამაშს, ალბათ, მაინც შეძლებს...

გუშინ კი „დინამომ“ ეროვნულ სტადიონზე საათი-საათნახევარი 20 ფეხბურთელით ივარჯიშა. ფირცხალავა, როგორც გითხარი, ცალკე ტრენინგებზეა. მწვრთნელის თანაშემწე კახა კაჭარავას გუნდი მოთელვისთვის ნახევარი საათი ჰყავდა მიბარებული, თავად რაინერ ცობელი კი ჯერ მეკარე დიდიე ოვონოს ესაუბრებოდა, მერე დავით დიღმელაშვილს, ვინც მოედნის განაპირიდან უცქერდა თანაგუნდელებს.

კაჭარავამ საქმე რომ მოილია, მერე უკვე ცობელმა სთხოვა შეგირდებს დღევანდელი მატჩისთვის ნაირნაირი ტაქტიკური ვარიანტების დამუშავება. ფეხბურთელები თავდაცვით კმაყოფილები იყვნენ და უსიტყვოდ ასრულებდნენ მწვრთნელის მითითებებს და ყოველი ეფექტური კომბინაციის შემდეგ გულიან ტაშსაც ერთად შემოსცებდნენ ხოლმე.

ვარჯიში ვარჯიშად და, დღეს „დინამოს“ მართლაც უმძიმესი მატჩი ელის და კარგი იქნება, ამ ამბავში ჩვენებს ქომაგობაც თუ აკყვება და დაეხმარება. პირველი, ათენური მატჩისას, სტადიონზე 61 ათასამდე კაცი იყო...

დღევანდელი მატჩისას ქომაგების მნიშვნელობაზე გუშინ „დინამოს“ მწვრთნელმა რაინერ ცობელმაც თქვა, წარმატების მისაღწევად კარგი ქომაგობა დაგვჭირდება და ვისურვებდი, „პანათინაიკოსთან“ შეხვედრისას ჩვენი სტადიონი შეივსოსო.

ეს ცობელმა პრესკონფერენციის ბოლოსკენ თავის ოპტიმისტურ სიტყვას მოაყოლა. იქამდე კი...

— ცხადია, პირველ მატჩში ძალიან სამწუხარო შედეგი მივიღეთ, თუმცა ჩემი გუნდის თამაშის ხარისხით, განსაკუთრებით შესვენების შემდეგ, მთლად უკმაყოფილოც არ დავრჩენილვარ. პირველ ტა-

თბილისი. 6 აგვისტო. 20.00 საათი. მრეწველი

დინამო — პანათინაიკოსი (0:3)



სად მათი და სად ჩვენი სელფასი... და მაინც, დინამო იმედს არ კარგავს

მში ჩვენს ფეხბურთელებს თითქოს მეტოქის რიდი ჰქონდათ, მაგრამ მეორე ტაიმში სურათი შეიცვალა. გაგვიმართლა, რომ პირველ ტაიმში 0:4 არ წავაგეთ, თუმცა შესვენების მერე აღარ გაგვიმართლა და რეალური საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. შესვენების შემდეგ „დინამომ“ მართლაც კარგი ფეხბურთი ითამაშა და უიღბლობა რომ არა, უგოლოდ არ დავრჩებოდით.

— ათენიდან თბილისში დაბრუნებულს გაზეთებში ჩვენზე ნაწერი მითარგმნეს და ცოტა გაკვირვებულიც კი დავრჩი. თამაში არ უნახავთ და რატომ დაიწერა რეალობასმოკლებული ამბები, ვერ გავიგე. ჩვენ ყველანი ერთად უნდა დავდგეთ და ერთად გავაკეთოთ ქართული ფეხბურთის სასიკეთო საქმე. რაინერ ცობელს, ცხადია, „დინამოსთვის“ და ზოგადად ქართული ფეხბურთისთვის სურს სარგებ-

ლის მოტანა. მაგალითად, გერმანიაში, მიუნხენის „ბეიერნს“ 2 მილიონი ქომაგი ჰყავს, 40 მილიონს კი ეს გუნდი ეჯავრება. თუმცა, როცა „ბაიერნი“ საერთაშორისო მატჩებს თამაშობს, მთელი გერმანია ამ გუნდის ქომაგია, მათ შორის, ჟურნალისტებიც.

— „პანათინაიკოსთან“ საპასუხო მატჩისას „დინამო“ დიდი ენთუზიაზმითა და შემართებით ემზადება. მთელი მატჩი თუ ისე ვი-

თამაშეთ, როგორც ათენში შესვენების შემდეგ, წარმატებასთან ძალიან ახლოს ვიქნებით. ძალიან ძნელი კი იქნება „პანათინაიკოსის“ ბარიერის გადალახვა, მაგრამ ფეხბურთში გამოცდილები არაფერია. ვეცდებით, რომ მეტოქეს საწყის 20 წუთში გავუტანოთ გოლი და საკუთარ კარში არ მივიღოთ. მე ჩემი გუნდის იმედი მაქვს და მჯერა, ბიჭები იმაზე უკეთეს ითამაშებენ, ვიდრე ათენური მატჩის მეორე ტაიმში.

— სამწუხაროა, რომ ოპტიმალური შემადგენლობით ვერ ვითამაშებთ და ამის გამო რამდენიმე გადაადგილების გაკეთება მოგვიწევს. ორი თავდასხმელით თამაშს ვაპირებთ, კარში კი დიდიე ოვონო იქნება. დიღმელაშვილიც ტრავმირებულია და მის არყოფნაში გუნდს სათამაშოდ დავით ოდიკაძე გაიყვანს. ისაა „დინამოს“ ვიცე-კაპიტანი.

— გიორგი მერებაშვილმა ოპერაცია გაიკეთა, მეორე თავდასხმელი ჟორჟ აკირემი ახლა გამოჯანმრთელდა, იქამდე ილია სპასოვიჩიც დაშავებული იყო და მათე ვაწაძეც. თავდასხმაში პრობლემაც ამან მოიტანა და გოლების გატანა გვეჭირდება. „დინამოს“ სხვა თავდასხმელებიც ჰყავს, ძალიან ნიჭიერები და პერსპექტიულები, მაგრამ ისინი ჯერ ზაბუკები არიან და გამოცდილება არ აქვთ.

— ათენური მატჩისას ალექო ინწკირველი მე-20 წუთისთვის იმიტომ შეეცვალა, რომ წითელი ბარათის საშიშროება დაეინახე და არ მსურდა, გუნდი კაცნაკლული დარჩენილიყო. მის ნაცვლად გულვერდ თომაშვილი შეეცვლა მოედანზე და ვიდრე თამაშში ჩაერთვებოდა, პირველი გოლიც სწორედ მისი ფლანგდანი გაკეთდა. მერე და მერე კი თომაშვილმა კარგად ათამაშა. ესეც გამართლების ამბავი იყო.

— „პანათინაიკოსის“ 17-18 თანაბარი ღონის ფეხბურთელი ჰყავს. როცა მსოფლიო ღონის ფეხბურთელი კარაგუნდის სათადარიგოთა სკამზეა, ეს ნიშნავს, რომ საკადრო პრობლემები არ გაქვს. ისე, ბერძნებს პრობლემებიც აქვთ, მაგალითად, მათი ცენტრალური მცველები ვერ გამოიყურებიან მთლად დამაჯერებლად და მეორე ტაიმში, როცა გავაქტიურდით, ამ მცველებს ბევრი უხეში შეცდომა ჰქონდათ. თუმცა რა იცი, თბილისში ბერძნების მწვრთნელმა ეგებ სხვა მცველები ათამაშოს.

— „დინამოს“ და „პანათინაიკოსის“ შორის მთავარი სხვაობა ისაა, რომ ბერძნების ერთ ფეხბურთელს იმდენი ხელფასი აქვს, რამდენიც არ აქვს მთელ „დინამოს“ მწვრთნელიანად.

— ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ „პანათინაიკოსთან“ ბოლომდე ვიბრძობებით, მეტოქეს არაფერს დავუთმობთ და ვნახოთ, იქნებ სასწაულიც მოვახდინოთ. ყოველ შემთხვევაში, ბიჭების განწყობა ჩინებულია და „პანათინაიკოსს“ ერთი წუთით დამშვიდების საშუალებას არ მისცემენ.



დავით დიღმელაშვილი და რაინერ ცობელი

ფოტო: ანთონი პატილაძე

ფოტო: ანთონი პატილაძე

ჯერ 11 იყოს: გაისად ჩეპიონატი გაათქვამა



პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი

გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომა გაიმართა, სადაც რამდენიმე საკითხზე იმსჯელეს — დამტკიცდა, რომ მოახლოებული ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 11 გუნდი ითამაშებს, ხოლო გაიდან ლიგა 10-გუნდიანი გახდება: კერძოდ, გავარდება სამი და გადმოვა ორი კლუბი.

რაც შეეხება პირველ ლიგას, იქაც აღმოსავლეთ-დასავლეთ ზონებში 11-11 გუნდი იქნება, საიდანაც ორორნი გავარდებიან და რეგიონალური დან თითო-თითო გადმოვლენ. ანუ, მომავალი წლიდან პირველი ლიგის ზონებში 10-10 გუნდი ითამაშებს.

და კიდევ, დღეს 13 საათზე პროფლიგის ოფისში საქართველოს თასის მერვედფინალური ეტაპის კენჭისყრა მიეწყო: პირველი მატჩები 8, 9 და 10 აგვისტოს საპასუხოები კი 16 და 17 აგვისტოს გაიმართება.

დღესვე პირველი ლიგის კალენდარი დამტკიცდება.

ილია ნანოგაშვილი

თასის მეთექვსმეტადფინალის ბოლო აპირადი: პირველმა ლიგამ უმაღლესი სარეგულაციო დახმობა

ესეც ასე, საქართველოს თასის მერვედფინალში 9 პირველლიგეელი გავიდა! ამათგან შეიძლება მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება გუშინწინ მოიპოვა, გუშინ კი ორი მატჩი გაიმართა.

დაბალლიგეელმა „თბილისმა“ პირველ შეხვედრაში უმაღლესლიგეელ „გაგრასთან“ დიდი ფორა მოიპოვა და და საპასუხოში საქმე ბოლომდე მიიყვანა.

შეგახსენებთ, დედაქალაქელებმა 4:2 იმარჯვეს. უმაღლესლიგეელი მეტოქე არც გუშინ დაზოგეს და სამი გოლი გუტანეს — 3:0.

ფოთში კი ახალციხის „მესხეთმა“ პირველ მატჩში მოპოვებული მინიმალური უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და მერვედფინალისკენ ზღვისპირელებს დაუთმო ვზა, ფოთელებმა 3:1 იმარჯვეს.

ნუკრი ლოლაძე

სიონი კიდევ ერთ აპირელს იმატებს



რევაზ გოცირიძე

ბოლნისის „სიონმა“ გრიგოლეთში შეკრება მოილია და ახალი სეზონიც რიხით დაიწყო.

სათასო დაპირისპირებაში „ნორჩ დინამოელს“ ორი მატჩის ჯამში ერთმეტე გოლი გაუტანა, თვითონ კი ერთიც არ გაუშვია და მერვედფინალში გავიდა. წლეულს ბოლნისელებმა ბლომად ფეხბურთელები შეიმატეს, მათი უმრავლესობა კი თბილისის „ამერიდანაა“ — აღექსანდრე კაკაშვილი, გივი დიდავა, არჩილ ალავეძე, სულეიკო დავითაშვილი.

უზბეკეთიდან სატრანსფერო ფურცელს ელის და მეკარე ზურაბ ქვანაზიაც „სიონის“ კარს დაიცავს.

როგორც შეეიტყვეთ, ბოლნისელებს კიდევ ერთი ამერელის გადაბირება სურთ. ეს რევაზ გოცირიძეა და, სავარაუდოდ, ის „სიონში“ იჯარით ითამაშებს.

ნუკრი ლოლაძე

ეს სეზონი საუკეთესო იქნება

ალექსანდრა იაშვილი: კუპერმა მალე უნდა გაბვიცნოს

უკვე წასული ამბავია და დღეს ექტორ რაულ კუპერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელია. არგენტინელის ერთ-ერთი კონკურენტთან, ფოლკერ ფინკესთან, ბევრ ქართველ ფეხბურთელს უთამაშია და მათ შორის, ყველაზე დიდხანს — ალექსანდრა იაშვილს.

გულის სიღრმეში იაშვილს ფინკეს გამწვრთნელება რომ უნდოდა, ეს არცაა გასაკვირი, თუმც „აკუნას“ ეს ხმამალა არ გამოუხატავს — კუპერის სახელი და მიღწევები ბევრს ნიშნავსო.

„კარლსრუეს“ და საქართველოს ნაკრების ლიდერს გერმანიაში დაგუკავშირდით და, ნაკრებზე იმდენი ჯერ რა უნდა გვეთქვა, უფრო კლუბზე ვესაუბრეთ...

— როგორ მიმდინარეობს შენთვის და „კარლსრუესთვის“ მოსამზადებელი პერიოდი?

— მშვენივრად მოვემზადეთ და კვირას უკვე თასის თამაში გვაქვს მეოთხე ლიგის „ალტაბახთან“. ბუნდესლიგაც მალე იწყება და იქ გამოჩნდება, რამდენად კარგად გვიმუშავია.

— „კარლსრუემ“ წინა სეზონი კარგად ჩაატარა, განსაკუთრებით კი, პირველი წრე. ახლა რა მიზნები აქვს?

— პირველ რიგში, ბუნდესლიგაში დარჩენა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მეორე ბუნდესლიგიდან გამოსული სამივე გუნდი ძლიერია; „კიოლნს“, „გლადაბახს“ და „ჰოფენჰაიმსაც“ კარგი შემადგენლობა ჰყავთ. საერთოდ, წლეულს გერმანიის ჩემპიონატი, წინა წლებთან შედარებით, უკეთესი იქნება. ხუმრობა ზომ არაა, გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა და მიხელო ბალაკის გარდა, ყველა ბუნდესლიგეელი ჰყავდა.

— საკონტროლო მატჩები კარგად ჩაატარე და გოლებიც საკმაოდ გაიტანე — ისევე მარცხენა გარემარბად გათამაშებენ?

— დიახ, მარცხნივ ვარ. შევეჩ-



ვიე ამ პოზიციას — წინა სეზონში ბევრი საგოლე პასი გავაკეთე, გატანა კი მიჭირდა, თუმც ახლა შევეცდები, ორივე მარჯვენელი გავზარდო. ვფიქრობ, მომავალი სეზონი ჩემთვის უკეთესი იქნება.

— არგუმენტი?

— რაც უნდა იყოს, „კარლსრუემ“ ახალი მისული ვიყავი და ზამთრამდე იმდენად კარგად ვერ ვთამაშობდი, მეორე წრე კი უკეთ ჩავატარე. პროგრესი უნდა გავრძელებ. წინა სეზონით ნაკლებად კმაყოფილი ვარ, უფრო კარგად შემძლო თამაში.

— ძირითად შემადგენლობაში მუდმივად თამაშობ, მაგრამ კონკურენტიც გეყოლება...

— სამხრეთაფრიკელი ბრედლი კარნელია ჩემი კონკურენტი. ნაკრების ფეხბურთელია, დიდი ხანია, „კარლსრუეში“. აქ თითოეულ პოზიციაზე ორი ფეხბურთელია და კონკურენცია იგრძნობა.

— „კარლსრუემ“ დავით თარგამაძის გადასვლაზე იყო ლაპარაკი. რატომ არ შედგა ტრანსფერი?

— დათოთი „კარლსრუეც“ იყო დანტერესებული და „გლადაბახიც“, თუმც მას ველაპარაკე და მეც ვურჩიე, რომ უმჯობესი იყო „ფრაი-

ბურგში“ დარჩენილიყო. „ფრაისაც“ ძალიან უნდოდა მისი დატოვება, იქ უფრო გაიხსნება და ითამაშებს, ვიდრე აქ. შეიძლება, „კარლსრუეში“ შეგუბა გაჭირვებოდა და სათამაშო პრაქტიკა დაეკარგა, რაც მის ასაკში ძალიან ცუდია.

— ახლა საქართველოს ნაკრებზეც გკითხავ. 20 აგვისტოს უელსთან მატჩისთვის მოწვევა ზომ არ მოგსვლია?

— ჯერ არა, ორი კვირით ადრე მოდის მოწვევა.

— ექტორ რაულ კუპერი — რას იტყვი ამ მწვრთნელზე, რამდენად გამართლებული იყო საქართველოს ნაკრებში მისი დანიშვნა?

— რა თქმა უნდა, კუპერი სახელითა და მიღწევებით ძალიან ძლიერი მწვრთნელია. მივესალმები მის დანიშვნას, დანარჩენი კი, ვნახოთ.

— ბევრი კამათობს, კუპერი საქართველოს ნაკრებს, ქართულ ფეხბურთს არ იცნობსო და ამიტომ...

— იმედია, მალე გაიცნობს ქართული ფეხბურთის თავისებურებებს, შეისწავლის ჩვენს ფეხბურთელებს. ეს, რაც შეიძლება, მალე უნდა მოხდეს, რადგან შესარჩევი თამაშები მოახლოვდა.

ილია ნანოგაშვილი


ზეიმი: თამარაშენის ნაცვლად გორში

უფას ეგიდით გამართულ მოსწავლეთა ზეიმზე, კერძოდ, პროექტ „გასართობი ფეხბურთის ღია სკოლებზე“ ადრეც დაგვიწერია. ეს ღონისძიება თამარაშენში უნდა გახსნილიყო, თუმც რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო გორის „ქართლის“ სტადიონზე გადაიტანეს — ამის შესახებ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციამ განაცხადა. ზეიმი გუშინ გაიმართა.

პროექტში მონაწილეობას იღებენ რეგიონში მცხოვრები 8-12 წლის ბიჭები და გოგონები, ასევე ერთ-

დვის, აჩაბეთის, ახალგორის, აენევის სკოლის მოსწავლეები. ისინი ტურნირის ორგანიზატორებისგან საჩუქრებს მიიღებენ, მათ შორის 150 ფეხბურთის ბურთს. ზეიმი გახსნეს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დიმიტრი სანაკოევმა და პროექტის წარმომადგენლებმა დანიიდან — კერძოდ, დანიის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მოგესტ ლიუკეტოფტმა და პარლამენტის წევრმა იორგენ ჰილუმ.

ლუკა თალაგვაძე



კაყოფილი საალბი ასლებს ელის

ემას დროულად ვერ მოიშუშებს. როგორც რამდენჯერმე ვთქვი, ორი შენაძენი გვეჭირდება, რათა კლუბი თავიდან ბოლომდე დაკომპლექტდეს და სისუსტეები აღარ დაგვრჩეს. რაც შეეხება სტეფანო ოკაკა ჩუკას, იგი ძალიან ნიჭიერია, მაგრამ ყოველთვის ვერ იყენებს შექმნილ მომენტებს. ფიზიკურად ძლიერია, მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით უნდა დაიხვეწოს. „ფიორენტინაში“ თამაშისას გაბრიელ ომარ ბატისტუტა საათნახევარი დამატებით ვარჯიშობდა ხოლმე, რათა ბურთის ფლობა დაეხვეწა“ — თქვა საალბეტიმ.

„უფლიუ საძეფო გუნდში ბენიერი არ არის. მას რეგულარულად თამაში და ეროვნულ ნაკრებში ადგილის მოპოვება უნდა. პროცენტულად ვერ გეტყვით, მაგრამ საკმაოდ დიდი შანსია, იგი „რომაში“ გადავიდეს, რაც ძალიან გაახარებს. თუმცა ყველაფერი ფეხბურთელზე არ არის დამოკიდებული, იტალიური კლუბი „რეალს“ უნდა შეუთანხმდეს. ენახოთ, რა მოხდება“ — აღნიშნა მენენდეშმა.

მოკი განდელაძი

იტალიური „რომაში“ მთავარი მწვრთნელი ლუჩანო საალბეტი, მიუხედავად ამხანაგურ მატჩებში „ჯალილოროსის“ არადამაჯერებელი თამაშისა, გუნდის ამჟამინდელი მდგომარეობით კმაყოფილია და ამბობს, მოსამზადებელი პერიოდი კარგად მიდისო.

„ჩვენი ორკვირიანი შრომით ძალიან კმაყოფილი ვარ. ნელნელა ვუმატებთ და იმ ფეხბურთს ვთამაშობთ, რომელიც საჭიროა. მირკო

ვუჩინის ფლანგზეც შეუძლია თამაში და ცენტრფორვარდადაც. როცა იგი გამოკვეთილი ფორვარდია, ბევრს მოძრაობს, თანაგუნდელებს სივრცეს უთავისფულებს და მომენტებს ქმნის. ხოლო ის ფაქტი, რომ ახლა მას მარცხენა გარემარბად ვიყენებ და ამოცანას თავს კარგად ართმევს, არ ნიშნავს, რომ ამ პოზიციაზე სხვა მოთამაშე არ გვეჭირდება. მარჯვენაც შეგვექმნება პრობლემა, თუ როდრიგო ტაღეი ტრა-

პან ნისტელროი: მართლა ნაკვეთი

32 წლის რუულ ვან ნისტელროიმ მეორედ და ამჯერად ნამდვილად დაასრულა სანაკრებო კარიერა. ამის შესახებ ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ ოფიციალურად განაცხადა.

პირველად ნაკრებიდან 2007-ის 23 იანვარს წავიდა, რაკი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მარკო ვან ბასტენს გაუწყრა და გაებუტა. მერე შერიგდნენ და ევროპის განვლილ ჩემპიონატზე ითამაშა.

ვან ნისტელროიმ წასვლის ამბავი ნაკრების თავკაცს ბერტ ვან მარვაიკს ამცნო. ამ ასაკში ნაკრებსაც და კლუბსაც ვეღარ გავწვდებით, უთქვამს ფეხბურთელს.

„რეალის“ კალენდარიც ვნახე და ნაკრებისაც — ბრძანა მეგოლემ — მე უკვე ოცდაათს გადავაბიჯე და ორივე ფრონტზე ბრძოლა გამიჭირდება. ამიტომაც გადავწყვიტე ნაკრებთან გამომშვიდობება“.

ფორვარდის სიტყვა გაუკვირდა ვან მარვაიკს, რომელმაც ვან ბას-



ტენი შეცვალა: „ძალიან მეწყინა, რომ ასეთი დონის თავდამსხმელი აღარ გვეყოლება, მაგრამ ისღა დამრჩენია, სიკეთე ვუსურვო“.

ვან ნისტელროის დებიუტი 1998 წლის ნოემბერში შედგა და 64 მატჩში 33 გოლი გაიტანა, მათ შო-

რის ოთხი — ევრო 2004-ზე, ერთი მსოფლიოს (2006) და ერთი ევროპის განვლილ ჩემპიონატზე.

ჰოლანდიის ნაკრები 20 აგვისტოს მოსკოვში რუსეთის ამხანაგურად ეთამაშება.

ვაშა ხუციფილი

მუტუ 2012



„რომასგან“ მიღებული მაცდური წინადადების მიუხედავად, „ფიორენტინამ“ აღრიან მუტუ რომ არ გაუშვა, არახალია. შემდეგი ნაბიჯი კი, ლოგიკურად, რუმინელთან ახალი კონტრაქტის გაფორმება და მისი შესაძლო წასვლის შესახებ ატეხილი მითქმა-მოთქმისთვის საბოლოო წერტილის დასმა უნდა იყოს.

აპენინური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, მხარეები უკვე ყველაფერზე შეთანხმდნენ და ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი კვირის ბოლომდე ოფიციალურად გაფორმდება.

ამბობენ, მუტუს ხელფასი საგრძნობლად გაიზარდება, მაგრამ ეს თანხა იმასთან ახლოსაც არ არის, რასაც იგი ჯამაგირად ითხოვდაო. რუმინელი წელიწადში დაახლოებით 3,2 მილიონ ევროს მიიღებსო.

„იებმა“ წინა კვირაში სებასტიან ფრეისთან გაახანგრძლივეს კონტრაქტი და ახლა მუტუსთანაც იგივეს გაკეთებას აპირებენ, ეს მათთვის უდავოდ წინგადადებული ნაბიჯია.

მოკი განდელაძი

პარტიზანი ნაციონალისტები

ბელგრადის „პარტიზანს“ უეფასგან ერთწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. ბაქოს „ინტერსთან“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო მატჩისას „პარტიზანის“ გულშემმატკივრებმა ტრიბუნებზე სერბული ნაციონალისტური მოძრაობის ყოფილი ლიდერის რადოვან კარაჯიჩის მხარდამჭერი ტრანსპარანტები გადმოვიდეს. კარაჯიჩის კი ბოსნიელი ერის გენოციდში ედება ბრალი.

გასულ სეზონში ბოსნიურ „ზრინსკისთან“ თამაშისას სერბი ფანატების რასისტული გამოხდომების გამო უეფამ ერთხელ უკვე მოკვეთა „პარტიზანი“ ევროთასებიდან და შესაძლოა, ახლაც ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე სერბების ნაცვლად ბაქოს „ინტერი“ გავიდეს.

პირველი შეხვედრა ამ ორ გუნდს შორის ბაქოში 29 ივლისს 1:1 დასრულდა.

ბენაიუნს დარჩენა უნდა

„ლივერპულის“ ნახევარმცველ ოსი ბენაიუნს მერსისაიდელთა შემადგენლობაში დარჩენა სურს. ებრაელი „რომაში“ დამრიგებელი ლუჩანო საალბეტი იყო დაინტერესებული, თუმცა ბენაიუნმა ინგლისში დარჩენა გადაწყვიტა. „ასე მინდა და ამიტომ ვრჩები“ — მოკლედ და კატეგორიულად განაცხადა ფეხბურთელმა.

ბედნიერი გორუცი

გლაზგოს „სელტიკის“ მეკარე არტურ ბორუცი თავისი ამჟამინდელი კლუბით კმაყოფილია და არსად გადასვლას არ აპირებს. „ამ ზაფხულს ბერვს ხუმრობდნენ ჩემს ტრანსფერზე, მაგრამ ჯერჯერობით „სელტიკში“ ვირიცხები და ამით ბედნიერი ვარ. აქ ყველაფერი მომწონს. გულშემმატკივრებს ვუყვარვარ და ფეხბურთიც სიამოვნებას მანიჭებს. მით უმეტეს, ახლახან ბავშვი შემიძინა და არსად გადასვლა არ მინდა“ — განაცხადა ჰოლანდელმა გოლკაპერმა.

გოგო ტრავმა მიიღო

ბერბამოს „ატლანტას“ თავდამსხმელი კრისტინ ვიერი თვენახევრით მწყობრიდან გამოვიდა. 35 წლის „ბობოში“ ამხანაგური შეხვედრისას მარცხენა ბარძაყი დაიზიანა. ვიერის, რომელიც ამ ზაფხულს „ატლანტაში“ „ფიორენტინადან“ გადაბარგდა, მარცხენა ბარძაყი ჯერ კიდევ მისიდან აწუსებდა და ახლა ისევ ტრავმა მიიღო.

ნიურნბერგი და კიევი შეთანხმდნენ

„ნიურნბერგი“ და კიევის „დინამო“ ივან საენკოს თაობაზე მორიგდნენ. 24 წლის ფეხბურთელი პირადი კონტრაქტის შესთანხმებლად კიევი უნდა ჩასულიყო. საგარეოდ, ტრანსფერის ღირებულება 2,5 მილიონ ევროს შეადგენს, თუმცა კიეველების ჩემპიონთა ლიგაში გასვლას შემთხვევაში გერმანელები დამატებით თანხას მიიღებენ.

აჩილ კობახიძე

ამ პრობლემას მოგინხსნით

ტრიმოლი

სხალაბა, შაკიკი, თავის ტკივილი, კბილის ტკივილი, სახსრების ტკივილი, მენსტრუალური ტკივილი, ნევრალგია, სხალაბით მიმდინარე ინფექციურ-ანთებითი დაავადებები.



- სისხის დაზიანება
- ტკივილგამაყუჩებელი
- ანთების საწინააღმდეგო

ავანდა ფარმა ლიმიტედი - ინდოეთი

ტრიმოლი PSP ჩემი მოკავის აფთიაქი

ფურადლებით გაეცანით საქართველო საშუალებების განიცდების ინსტრუქციას

მაკალიუმა ფლეტჩერი უარყო

„ბირმინგემ სიტის“ მთავარმა მწვრთნელმა ალექს მაკალიუმ თავის გუნდში დარენ ფლეტჩერის გადმოსვლის შესაძლებლობა უარყო. ჩვენ ისეთი ფინანსური შესაძლებლობები არ გვაქვს, რომ დარენ ფლეტჩერის დონის ფეხბურთელებს ხელფასები ვუხადოთ — აღიარა შოტლანდიელმა სპეციალისტმა — ჩვენთვის ეს ძალიან დიდი თანხაა.“

შოტლანდიის ნაკრების კაპიტანი გასულ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდებოდა, რის გამოც ინგლისურ პრესაში მის განათხოვრებაზეც საუბრობენ.

ოლირი იუგუზი?

ბუნდესლიგის „ჰამბურგის“ თავდამსხმელმა ივიცა ოლირმა, შესაძლოა, კარიერა ტურინის „იუვენტუსში“ გააგრძელოს. კვირას „ჰამბურგმა“ „ბებერი ქალბატონი“ ამხანაგურ შეხვედრაში 3:0 გაანადგურა და ამ სამი გოლიდან ორი სწორედ ხორვატმა გაიტანა.

ტურინელი კლუბის წარმომადგენელი ოლირის აგენტს ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე დაუკავშირდა, ამ დღის შემდეგ კი 28 წლის ფეხბურთელის „იუვენტუსში“ გადასვლის შესახებ კიდევ უფრო გაიზარდა.

სიმპსონი იჯარით გლემპინგში

პრემიერლიგის „ბლექბერნმა“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ დენი სიმპსონი იჯარით დაიწყო. იჯარა ერთ წელზეა გათვალისწინებული. გასულ სეზონში ფეხბურთელმა მანკუნინგელთა შემადგენლობაში 8 თამაში ჩატარა, მათ შორის ორი — ჩემპიონთა ლიგაში. სიახლეა „როვერსის“ სამწვრთნელო შტაბშიც. კლუბის ყოფილი ვოლკიპერი ბობი მიმსი „ბლექბერნის“ მეკარეების მწვრთნელად დაინიშნა.

დანიიდან ბერმანიაში

თავდამსხმელი კრის კატონგო დანიური „ბრონდბიუდან“ გერმანულ „არმინიაში“ გადავიდა. 25 წლის ზამბიელმა ბილფელდელელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და უკვე ახალ კლუბთან ერთად ვარჯიშობს.

„ბლანტის ერთ-ერთ საუკეთესო ჩემპიონატში სეზონის დაწყებას მოუთმენლად გელი“ — აღიარა კატონგომ.

კორომა რედნაპი მოხილვა

ინგლისურმა „პორტსმუთმა“ გამბიელ ომარ კორომასთან ორწლიანი ხელშეკრულება დადო. 18 წლის ფეხბურთელი ინგლისურ კლუბში შემოქმედა და ძლიერ მოხიბლა „ბომპის“ დამრიგებელი პარი რედნაპი.

„კორომა ძალიან მომეწონა — თქვა რედნაპამ — მას დიდი პოტენციალი აქვს და შესაძლოა, მაღალი კლასის ფეხბურთელი გახდეს.“

სეზონის სტარტი ტონის ბარეში

მიუნხენის „ბაიერნის“ იტალიელი ფორვარდი ლუკა ტონი, სავარაუდოდ, ახალი სეზონის დასაწყისს გამოტოვებს. ბავარიული კლუბის გენერალური მენეჯერის ული პიტინის თქმით, 31 წლის ფეხბურთელი „როტ-ვაისთან“ სათასო მატჩსა და 15 აგვისტოს „ჰამბურგთან“ ბუნდესლიგის გახსნით თამაშს გამოტოვებს.

ტონის „ბაიერნის“ იაკონური ტურნეს ერთ-ერთ მატჩში კუნთი დაეჭიმა.

მოია მაღუროს სანაცვლოდ

მსპანურ „ვალენსიას“ „მალორკას“ მეკარის მიგელ მოიას შეეძინა სურს. „ლაპურები“ ბალეარელებს მოიას სანაცვლოდ 6 მილიონ ევროს სთავაზობდნენ, თუმცა უარი მიიღეს. ახლა კი „მალორკას“ ხელმძღვანელობა მზადაა, მოლაპარაკებას დაუბრუნდეს და მოია ჰედვეგს მაღუროში გაცვალოს.

მარსელი სემაკით დაინტერესდა

ფრანგული „მარსელი“ სერგეი სემაკით დაინტერესდა. ევრო 2008-ზე გამოსვლით რუსეთის ნაკრების კაპიტანმა „ოლიმპიკის“ ხელმძღვანელობაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ ტრანსფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში შედეგზე, თუ ვიკ გერეტის გუნდს კამერუნელი ნახევარმცველი მოდესტ მბამი დატოვებს. სემაკს საფრანგეთში გამოსვლის სიამოვნება უკვე ჰქონდა — 2004-2006 წლებში პსჟ-ს რიგებში ირიცხებოდა.

კინს საა მოენატრა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი ლუი საა, შესაძლოა, უახლოეს დღეებში „სანდერლენდს“ შეუერთდეს. „მაი კატები“ მზად არიან, „წითელ ეშმაკებს“ 30 წლის ფორვარდში 8,5 მილიონი გირვანქა შესთავაზონ. თვითონ ფეხბურთელს კი „სანდერლენდის“ ხელმძღვანელობა სამწლიანი კონტრაქტს და 50 ათას გირვანქას პირდება.

„იძევია, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კიდევ ორი-სამი ფეხბურთელის შეძენას შევძლებთ. უმთავრესად, მაღალი კლასის, გოლების გამტანი თავდამსხმელი გვჭირდება“ — განაცხადა „სანდერლენდის“ დამრიგებელმა როი კინმა, რომელიც გარკვეული ხნის განმავლობაში პერიოდი „მანჩესტერ იუნაიტედში“ საას გვერდობდა.

სტეფან კოპანცი

მაგიდის ლაიმი



ფილიპ ლამისთვის მარჯვენა და მარცხენა სულერთია. კლუბის ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში გერმანელი ამბობს, რომ „ბაიერნის“ კაპიტნობაზე ოცნებობს და ანდრეას ოტლის ეშინია, რომელიც მაგიდის ჩოგბურთის დღითიდღე უკეთ თამაშობს

— მაგიდის ჩოგბურთში „ბაიერნის“ ჩემპიონი ხარ. ერთხელაც არ წაყვავა?

— ყოფილა, რომ თამაშის დროს ვაგებდი, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვიმარჯვებდი. ამჟამად ყველაზე ძლიერი მეტოქე ანდრეას ოტლია და ყოველდღიურად უმატებს.

— ევროპის ჩემპიონატის მონაწილე სხვა ფეხბურთელებზე, კლუბში გვიან დაბრუნდი ფორმაში უკვე შეხვედი?

— ფიზიკურად თავს კარგად ვგრძობ, მაგრამ სათამაშო რიტმში ვერ ვერ ჩავჯექი. ჩვენ ხომ ბევრი ამხანაგური მატჩი არ გვითამაშია.

— ამხანაგურებში მარცხენა მცველი იყავი და ამ პოზიციაზე გათამაშებდა ოტმარ ჰიციფელდიც. რომელი ფლანგი გირჩევია?

— მგონი, მარჯვენა ფლანგზე თამაში უკეთ გამომდის, მაგრამ პრობლემა არც მარცხნივ მაქვს. ჩემთვის სულერთია.

— მისში კონტრაქტი გაახანგრძლივე ამის ერთ-ერთი მიზეზი თურგენ კლინსმანის გამწვრთნელება იყო?

— კლინსმანს ნაკრებიდან ძალიან კარგად ვიცნობ. „ბაიერნში“ მის მოსვლას ჩემს გადაწყვეტილებაზე არ უმოქმედია. უბრალოდ, მინდა, რომ ამ გუნდში კიდევ ბევრი ჯილდო მოვიგო. დარჩენის მიზეზი კლუბის ფილოსოფიაა. გერმანიის ჩემპიონი და თასის მფლობელი ვარ, ახლა კი ევროთასი მსურს და ვფიქრობ, რომ ამასაც მივაღწევ.

— „ბაიერნს“ ევროპაში წარმატების რეალური საფუძველი აქვს?

— ჩვენ სწორი გზით მივდივართ, მაგრამ დრო დაგვიჭირდება. გუნდები, რომლებმაც ბოლო წლებში ჩემპიონთა ლიგა მოიგეს, ტრიუმფისკენ

ბაიერნიმ ანჩელოტის ყური აუწია?

„ჩელსისთან“ „მილანის“ სამარცხვინო მარცხს უკვლოდ არ ჩაუვლია მართალია, ამხანაგურ შეხვედრაში და უამრავი მოთამაშის გარეშე, მაგრამ ფაქტია, რომ „როსონერში“ ლონდონელებთან 0:1 წააგო, რაც კატასტროფულად ცუდი შედეგია. ამის გამო, კლუბის დირექტორმა ადრიანო გალიანი „სან სიროს“ ბინადართა მწვრთნელ კარლო ანჩელოტის შეხვედრა დაუნიშნა, რომელიც გუმინ შედგა.

თუ რაზე ილაპარაკებ მათ და რა მოყვანა მოყვება ამ საუბარს, ვერ უცნობია.

„თავისმართლების ბევრი საბუთი გვაქვს. ექვსი ფორვარდიდან მხოლოდ ერთი გვყავდა და ტრავმების გამო ყველა რგოლში გვექონდა პრობლემები. თუმცა 0:1-ს ეს მაინც არ ამართლებს. ანჩელოტის სამშაბათს შევხვდებით და ვაივებ, რა მოხდა და რა მოუვიდა გუნდს. „ჩელსისთან“ ამ მარცხმა მართლაც შემაშფოთა, რადგან „მილანი“ ყველაზე თავმოყვარე და გამორჩეული კლუბია და მსოფლიოს წინაშე თავის ასე წარმოჩენის უფლება არ გვაქვს. მიუხედავად ამისა, ისევ მჯერა, ძალიან



ძლიერი შემადგენლობა გვყავს, რაც რამდენიმე დღის წინაც დავამტკიცეთ „ტროფეო ტიმის“ მოგებით და ამიტომ, სატრანსფერო ბაზარზე არ დავბრუნდებით“ — თქვა გალიანი „კარლესთან“ შეხვედრამდე.

მიუხედავად „როსონერის“ დირექტორის ამ სიტყვებისა, პრესაში მითქმა-მოთქმა არ ცხრება — „მილანი“ ანდრეი შევჩენკოზე ისევ ფიქრობს და დაცვის გაძლიერებაც უნდაო.

ამჟამად „როსონერის“ გულიელმო სტენდარდოსა და ტიაგუ სილვას უკავშირებენ.

ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდნენ. ვალერი მირონიუჩი ხელფინალამდე აღწევდნენ, მერე ნახევარფინალამდე და ფინალამდე, მთავარი კი ფინალია, რომელშიც გამარჯვება გარანტირებული არაა. მაგალითად, „მანჩესტერი“ და „ჩელსი“ დიდი ხნის განმავლობაში მიიწვედნენ ფინალისკენ, თასი კი ერთს დარჩა.

— სწორედ ასე იყო „ბაიერნი“, სანამ 2001-ში ლიგას მოიგებდა, მანამდე ნახევარფინალში და ფინალშიც დამარცხებულია.

— მართალია. ისტორია ვაჩვენებს, თუ რაოდენ რთულია ამ ტურნირის მოგება.

— კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ხელის მოწერისას ალბათ ფიქრობდი, რომ „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგას შენც მოიგებ.

— ეს ჯანსაღი ამბიციაა — ბუნებრივია, რომ ჯილდოები მინდა. რამდენიმე წელია, გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი ვარ და ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის ვიბრძვი. ამიტომაც დავთანხმდი „ბაიერნი“ დარჩენას.

— გუნდის მომავალი კაპიტანივით საუბრობ...

— არა. ვსაუბრობ, როგორც ამბიციური და გამარჯვების მსურველი ადამიანი.

— მედიასთან უკვე გაამხილეთ, რომ მომავალში თავი „ბაიერნის“ კაპიტნად წარმოგიდგინა...


— ვახეთები, როგორც წესი, აბუქებენ. მკითხეს, წარმომიდგენია თუ არა თავი კაპიტნად და ვუპასუხე, რომ ამზე მიფიქრია, მაგრამ არ მითქვამს, აუცილებლად კაპიტანი გავხდები-მეთქი.

— შენთვის, როგორც მიუნხენელი სთავის, კაპიტნის სამკლავური ალბათ განსაკუთრებული რამ იქნება.

— დიდი ხნის განმავლობაში სამკლავური ოლივერ კანს ეკეთა. ის სამაგალითო ადამიანი იყო თანაგრძობლებისთვის და ვინც კანის შემდეგ იკაპიტნებს, მისთვის დიდი პატივი იქნება. რა თქმა უნდა, მათ შორის ჩემთვისაც, რაკი მიუნხენელი და „ბაიერნის“ სკოლის აღზრდილი ვარ.

გიორგი კაპაბაძე

იოლის პასუხი იოლია: მე ვინ ვარ?



მარტინ იოლი შარშან ოქტომბერში გაათავისუფეს „ტოტენჰემიდან“, სადაც სამი სეზონი იმუშავა, მაგრამ უსაქმოდ დიდხანს არ დარჩენილა — „ჰამბურგიდან“ ნასული ჰუბ სტევენსის ადგილი ჩაიბარა, ანუ ერთი ჰოლანდიელი მეორემ შეცვალა. 52 წლის იოლის გუნდმა გასულ უქმეებზე „ემირეთისის“ თასი მოიგო ლონდონში და შეკრებას ავსტრიაში განაგრძობს. ფიფას ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში ჰოლანდიელი მწვრთნელი ამბობს, რომ კლინსმანი მხოლოდ ტელევიზორში უნახავს, მაგრამ მალე გაიცნობს მასაც და მის სუპერთანამედროვე მეთოდებსაც

— როგორია ჰამბურგული შთაბეჭდილება?

— დიდებულია. მოსვლის დღიდან პატივისცემას ვგრძობ. ამ გუნდთან მუშაობა საინტერესო და სახალისოა, პირობები კი გადასარევი. თვეზე მეტია, ვვარჯიშობთ და ვემზადებით და საკლები დონეზე ასეთი კარგი ვითარება აქამდე არსად მინახავს. ახლად დაებრუნდით ლონდონიდან ავსტრიაში შეკრებაზე და ერთმანეთს უკეთ გავეცნობთ, სანამ ბუნდესლიგა დაიწყება.

— გასულ სეზონში „ჰამბურგი“ მეოთხე ადგილზე გავიდა და ამჯერად რა მიზნები გაქვთ?

— გვინდა, კვლავაც ვეროთასებზე ვითამაშოთ. გუნდი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გადიოდა ევროტურნირებზე და ქომაგები უკვე მიეჩვივნენ.

— რამდენიმე ფეხბურთელი იყიდეთ და ეს ბუნდესლიგაში და ევროთასებზე წარმატებისთვის სა-

— „ბარსელონამ“, „ჩელსიმ“ და სხვა გრანდებმა გუნდები გააძლიერეს. თქვენი აზრით, ჩემპიონთა ლიგას ვინ მოიგებს?

— ბოლო სეზონებში ჩემპიონთა ლიგა რამდენიმე კლუბმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიითვისა. თითქმის ერთი და იგივე გუნდები გადიან მეოთხედფინალში და მათი შემცილებლებიც არ გამოჩნდნენ.

მე მაინტერესებს, როგორი იქნება ლიგაში, მაგალითად „ბაიერნი“, მაგრამ ვერ ვიწინასწარმეტყველებ, თუ ვინ მოიგებს ჩემპიონთა თასს. ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული.

— „ბაიერნი“ მწვრთნელმა იურგენ კლისმანმა სუპერთანამედროვე სავარჯიშო მეთოდები შემოიღო. გადამტეხული ხომ არ გეჩვენებათ, რომ მელა გაბუდებით ამაზე საუბრობს? მართლა რაიმე განსაკუთრებულია?

— ამ კითხვაზე ვერ ვიპასუხებ. იურგენ კლისმანი მხოლოდ ტელევიზორში მინახავს და მისი მეთოდების შესახებ არაფერი ვიცი. ბუნდესლიგა დაიწყება და „ბაიერნი“ მწვრთნელს გავეცნობ.

— რატომაც ასე დიდი მოთხოვნა ჰოლანდიელ მწვრთნელებზე?

— თქვენ როგორ ფიქრობთ? ჩემს ქვეყანაში ყოველთვის იყვნენ საუცხოო მწვრთნელები. ასლა ბუნდესლიგაში ჩემს გარდა ფრედ რუტენიც მუშაობს „მალკომი“ და იოს ლუსუკაც „მიონხენგლახში“. ეს ალბათ ჰოლანდიელი მწვრთნელების მაღალ კლასზე მეტყველებს.

— მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის ნახევარფინალში ოთხი ევროპული ნაკრები გავიდა. ეს შემთხვევითი იყო თუ ევროპული ფეხბურთი სამხრეთამერიკულს ნამდვილად სჯობს?

— ბრაზილიის და არგენტინის ნაკრებებს ნებისმიერი ევროპული მეტოქის დამარცხება შეუძლიათ, მაგრამ ამჟამად ევროპული ფეხბურთი აღმასვლას განიცდის.

ევრო 2008-ის წინ ვერავინ იტყოდა გადაჭრით, თუ ვინ მოიგებდა ტურნირს, რადგან ძალები თითქმის თანაბარი იყო.

— თავი ნაკრების მწვრთნელად წარმოგიდგინათ?

— ერთი თვეა, რაც „ჰამბურგი“ ვარ და ამ მომენტში მხოლოდ კლუბის საქმეებზე ვფიქრობ.

კმარისა თუ კიდევ ვინმეს შეძენას აპირებთ?

— თავიდანვე ვთქვი, რომ მხოლოდ ისეთ ფეხბურთელებს დავიმატებდით, რომლებიც გუნდს გააძლიერებდნენ.

რაკი გასულ სეზონში „ჰამბურგი“ მეოთხე ადგილი დაიკავა, ეს ნიშნავს, რომ საფუძვლიანი ცვლილებები საჭირო არაა. კარგი შემადგენლობა თუ არ გეყოლება, ბუნდესლიგაში მეოთხე საფეხურს ვერ შესწვდები.

მეორე ბუნდესლიგის ორი საუკეთესო მოთამაშე ვიყიდეთ — პიტრობა და აოგო. შეკრებაზე ორივემ დაამტკიცა მაღალი კლასი და ვიმედოვნებ, რომ შემოდგომიდან ძირითად შემადგენლობაში ჩაეწერებიან.

— პრემიერლიგა და ბუნდესლიგა შეადარეთ...

— ბევრი ექსპერტი ამტკიცებს, რომ ახლა პრემიერლიგა, პრემიერადივიზიონი და ბუნდესლიგა საუკეთესოები არიან და მე ვინ ვარ, რომ არ დავეთანხმო?

რანიერიმ მაურინიუ დაქოქა



სარგბიელი

რომან აბრამოვიჩმა ლონდონის „ჩელსის“ ყიდვიდან არცთუ დიდ ხანში კლავდიო რანიერი მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მოხსნა და ჟოზე მურინიუ დანიშნა. ამის მერე, გასაკვირი არცაა, რომ იტალიელ სპეციალისტს პორტუგალიელზე მზე და მთვარე არ ამოსდის. რამდენიმე დღის წინ რანიერიმ მწვავე კომენტარები გააკეთა — არ ვარ დარწმუნებული, რომ მაურინიუ იტალიაში წარმატებას მიაღწევსო, მას აქაურ სტილთან შეგუება ძალიან გაუჭირდებაო და ასე შემდეგ.

რანიერიმ ისიც თქვა, მაურინიუ როცა ვერ იგებს, არ იცის, რა აკეთოს, მე კი მოგება არ მჭირდება იმის გასაგებად, თუ რა უნდა მოვიმოქმედო, გამოსავალს ვპოულობ, მარცხის ღირსეულად მიღება და სწორი დასკვნების გაკეთება უნდა შეგეძლოსო.

„განსაკუთრებულსაც“ მეტი რა უნდოდა, მყისვე გააშანშალა პასუხი რანიერისთვის და მას „ლუსერი“ ანუ ხელმოცარული უწოდა.

| 17257 ბრინი-ოდ გრენლანდი | 1.85 | 1.95 |
| 17258 ლოვ ჰამი-ნოტოდენი | 1.85 | 1.95 |
| 17259 სტარტი-ჰიონეფოსი | 1.85 | 1.95 |

| რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანბარიშ (მატჩის 0-0 ლაგოაპრევის შემთხვევაში, ორივე გუნდი ვაგაგულად ჩაითვლება) | | |
|---|------|------|
| 14001 ბაზელი-ვიოტეობორგი | 1.30 | 2.50 |
| 14004 ბატე-ანდერლესტი | 2.40 | 1.45 |
| 14006 ვისლა-ბეითარი | 1.30 | 2.50 |
| 14008 მტკ-ფენერბაჰე | 2.50 | 1.30 |
| 14010 მოდრიცა-ოლბორგი | 2.30 | 1.65 |
| 14011 პეტრუალკა-ტამპერე | 1.30 | 2.50 |
| 14012 რაპიდი-ანორთოსისი | 1.30 | 2.50 |
| 14026 სელტიკი-სიტი | 1.80 | 2.00 |
| 14027 ნიუკასლი-პსვ | 1.80 | 2.00 |
| 14037 ისტ სტირლინგი-ლივინგსტონი | 2.50 | 1.30 |
| 14038 არბროთი-სტირლინგი | 1.80 | 2.00 |
| 14040 ისტ ფაიფი-ბრეინი | 1.70 | 2.20 |
| 14041 სტრიომგოდსეტი-ვიინგი | 1.85 | 1.95 |
| 14044 მანჩესტერი-იუვენტუსი | 1.70 | 2.20 |
| 14119 აუსტრია კერენტენი-შტურმი | 2.00 | 1.80 |
| 14131 ბელინცონა-აარაუ | 2.00 | 1.80 |
| 14227 ოდენსე-ნორდსიელანდი | 1.30 | 2.50 |
| 14243 ჰამ კამი-ტრომსიო | 2.30 | 1.65 |
| 14244 რუსენბორგი-სტაბეკი | 1.80 | 2.00 |
| 14252 ნიბერგსუნდი-ალტა | 1.20 | 2.60 |
| 14253 ჰაუგესუნდი-სოგნდალი | 1.75 | 2.10 |
| 14254 სანდნესი-კონგსვინგერი | 1.45 | 2.40 |
| 14255 ჰილდი-მოსი | 2.10 | 1.75 |
| 14256 სანდფიორდი-სარპსბორგი | 1.20 | 2.60 |
| 14257 ბრინი-ოდ გრენლანდი | 2.40 | 1.45 |
| 14258 ლოვ ჰამი-ნოტოდენი | 1.80 | 2.00 |
| 14259 სტარტი-ჰიონეფოსი | 1.30 | 2.50 |



მურამ დოღანაშვილის ფოტო

ორი დღეც და ზაფხულის 29-ე ოლიმპიური თამაშები დაიწყება — ათასობით სპორტსმენი მილიონობით გულშემატკივარს ტელევიზორთა მიაჯაჭვავს და 24 აგვისტომდე სიხარულს, ემოციას და ნერვიულობას ნამდვილად არ მოაკლებს.

ჩვენი ოლიმპიელების უმეტესი ნაწილი უკვე პეკინშია, 11 აგვისტოს კი ჩინეთს საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები მიაშურებს. ზაზა თურმანიძის განვრთნილები ახლა ბორჯომში გადიან შეკრებას და თბილისში 10 აგვისტოს ჩამოვლენ.

„სარბიელის“ დღევანდელი რესპოდენტი რევაზ მინდორაშვილია (84 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი, ძალიან ბევრი ტურნირის მომგები და, რაც ასე საჭიროა, ოლიმპიადისთვის, გამოცდილი მოჭიდავე. მინდორაშვილმა ათენის ოლიმპიადაზე გულშემატკივარს იმედები ვერ გაუშართლა, რაკილა მედლისთვის ბრძოლაც არ გამოუვიდა და ახლა ათენში დაკარგულის ანაზღაურებას პეკინის ოლიმპიადაზე აპირებს...

რეზო ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა და თავიდან ტამპერეში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე გვიამბო...

რევაზ მინდორაშვილის დაპინჯული ათენი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი ჩინურ ოქროს ამზადებს

— ევროპის ჩემპიონატს, სასურველ ფორმაში ვერ შევხვდი. მანამდე ტრავმა მქონდა და ძალების აღდგენა გამძვირდა — მეტოქე სერიოზული მყავდა, გიორგი კეტოევი ერთ-ერთი ფავორიტი ჩემს წონაში, მაგრამ პრობლემა არ არის მისი დამარცხება, უბრალოდ, ფორმაში არ ვიყავი, თორემ აუცილებლად მოუვებდი. ისე კი მთავარი იმ მომენტში ლიტენინის მოპოვება იყო და ეს ამოცანა მაშინ გადავჭერი ამან დამშვიდების და ოლიმპიადისთვის თავისუფლად მომზადებისთვის სასურველი განწყობა შემიქმნა.

— ნაკრებთან ერთად ყველა შეკრება გაიარე, ტრავმას ხომ არ შეუშლია ხელი?

— ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მთლიანად ოლიმპიადაზე დავიწყე ფიქრი და ვარჯიში. ძალიან მიხარია, რომ ჯანმრთელობის მიხრივ არანაირი პრობლემა შემქმნია და ყველა მოსამზადებელი ეტაპი სრულფასოვნად გავიარე. ვიყავი სომხეთში წახკაძორში და ახლა ბორჯომშიც მაქსიმალურად ვიტვირთები.

— ევროპის ჩემპიონატის შემდეგ საერთაშორისო ტურნირი ხომ იჭიდავე?

— კი, რუმინეთის საერთაშორისო ტურნირი მოვიგე და ამან საკუთარ ძალებში კიდევ უფრო დამარწმუნა, უფრო მონდომებულმა გავაგრძელე ვარჯიში და ფსიქოლოგიურაცდაც გავძლიერდი...

— ისე, რას იტყვი, როგორ ფორმაში ხვდები ოლიმპიადას?

— კარგ ფორმაში ვარ. ამ მხრივ, საკუთარი თავის მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს. ვარჯიშებში ყველაფერს ვდებდი და ამან შედე-

გიც გამოიღო, მაგრამ მხოლოდ ფორმაში ყოფნა არ არის საკმარისი, წარმატებას რომ მიადწიო. თითოეული დაპირისპირების წინ მაქსიმალურად უნდა მოვემზადო, განწყობა შევიქმნა. ფსიქოლოგიურად კარგად ყოფნას, მგონი, გადამწყვეტი მნიშვნელობაც აქვს, იმიტომ, რომ ეს ოლიმპიადაა და სუსტი მეტოქეს უბრალოდ ვერ შეხვდები, იქ ყველა ძლიერია და თუ ვინმესთან ჭიდაობას ზერელედ მიუღე, აუცილებლად დაგსჯიან. ამას საკუთარი გამოცდილებიდან ვამბობ. ბევრჯერ დავრწმუნდი ამ მოსაზრების სისწორეში და შეცდომის დაშვებას აღარ ვაპირებ.

— ათენის ოლიმპიადაზე უმეტესად დარჩი. დღევანდელი გადასახედიდან რას ფიქრობ, რა იყო ამის მიზეზი?

— იმ ოლიმპიადის განხილვაც არ მინდა. საშინელება იყო. ახლაც ვერ ვხვდები, ეს როგორ მოხდა. საკუთარ თავს ვერ ვცნობდი, იმის გააზრება მიჭირდა, რას ვაკეთებდი. მჯერა, ასეთი რამ პეკინში აღარ განმეორდება და წარმატებას მივაღწევს. მოკლედ, შემიძლია ვთქვა, რომ საკუთარ შეცდომებზე ბევრი ვისწავლე. ახლა უფრო გამოცდილი ვარ და გამარჯვების შანსიც მეტი გამაჩნია.

— თქვი, რომ სუსტი მეტოქე ოლიმპიადაზე არ იქნება, მაგრამ ძირითად კონკურენტებს მაინც თუ გამოაჩვენებ, ან უხერხული მეტოქე თუ გყავს?

— რუსი, ირანელი, თურქი, აზერბაიჯანელი სერიოზული მოჭიდავეები არიან და შემიძლია, ეს ჩამონათვალი გავაგრძელო იმიტომ, რომ ბევრი კარგი მოჭიდავე იქნება. ყველა მაქსიმალურად მომზადებული

ხვდება ოლიმპიადას და არაფერს დაგითმობს. ახალი თაობა წამოვიდა და სიურპრიზების შეთავაზება მათაც შეუძლიათ. შეიძლება, ვიღაც ათენში კარგად ვერ გამოვიდა და არც მერე ჰქონდა სათანადო შედეგები, მაგრამ პეკინში გაიმარჯვოს. თითქოს ესეც ჩვეულებრივი ტურნირია და აქაც ყველა ნაცნობი მოჭიდავე შემხვდება, მაგრამ მაინც სხვა დატვირთვა აქვს. ოლიმპიადაა და ყველა სპორტსმენი საკუთარი შესაძლებლობების ზღვარზე გამოდის.

სიმართლე გითხრათ, კონკურენციაზე ნაკლებად ვფიქრობ. ყველა მე ხომ არ შემხვდება? კენჭისყრა იქნება და ვისაც მარჯუნებენ, იმას დავეჭიდები. მხოლოდ კონკრეტულ ბრძოლაზე ვიფიქრებ. ყველაფერს ჩავდებ, ბოლომდე დავიხარჯები, რათა გავიმარჯვო და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყებ ფიქრს მომავალ შეხვედრაზე...

— ათენში წარუმატებლად გამოსვლის მერე, ალბათ, კიდევ უფრო მონდომებული ხვდები პეკინის ოლიმპიადას. რას უსახავ საკუთარ თავს მიზნად?

— ოლიმპიადაზე მივდივარ და სხვანაირად არც შემიძლია, რომ გამარჯვებაზე არ ვფიქრობდე. ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მშვენივრად ვარ. გამოცდილება დავაგროვე და ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. ყველაფერი მაქვს იმისთვის, რომ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლო.

ქართველ გულშემატკივარს ვეტყვი, რომ არაფერს დავაკლებ, რომ გავიმარჯვო და საქართველოს მედალი ჩამოვუტანო. მთავარია რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდეს და დანარჩენი უკვე ღვთის ნებაა...

ლემსო მაისურაძე

თურქეთში ქართველებს ზაპი აქვთ

საბერძნეთში კი ლიდერებს დასდევენ



ლევან ფანცულაია

სტამბოლში მიმდინარე მოჭადრაკეთა ტურნირზე, სადაც ბლომად ქართველია თავმოყრილი, მე-6 ტური გაიმართა. მოწინავეთა მარაქაში გარეული ორი ჩვენბერი ლევან ფანცულაია და მერაბ გაგუნაშვილი ერთმანეთს შეხვდნენ და ყაიმზე დაზავდნენ. ესენი ახლა ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ლიდერებს და მე-3 — მე-6 ადგილებს იყოფენ ვალერიან გაფრინდაშვილთან და მიხეილ გურგენიჩთან ერთად. მაქსიმალური ქულების რაოდენობა კი სომეხმა არმან ფაჩიკიანმა და თურქმა სულატ ატალიქმა დააგროვეს.

სხვა ქართველებიდან 5 ქულა აქვთ: თამარ ხშიადაშვილს, მაკა ფურცელაძეს, ანა გავაშელსა და გი-

ორგი ბალათუროვს — 4,5 კი და აგროვეს: ბელა ხოტენაშვილმა, თამარ წერეთელმა, თონა მესხმა და ნინო ბატიაშვილმა.

ჯერჯერობით 4 ქულა აქვს ნონა დათუაშვილს.

ასევე ექვსი ტური გაიმართა საბერძნეთის ქალაქ კავალის საერთაშორისო ტურნირზე. იქ თამაზ გელაშვილი და დავით მალალაშვილი ლიდერებს ქულით ჩამორჩებიან. 3,5 აქვთ: მალხაზ სულაშვილს, დავით ჯოჯუას, შოთა ახალაძეს, ინგა ჭარხალაძეს და სალომე მელიას. 3 ქულა მოაგროვე: ნანა გენიძემ, გიორგი მარგველაშვილმა, სოფიკო ხუნაშვილმა, ნოდარ დავარაშვილმა და დავით ლომსაძემ.

ლემსო მაისურაძე

აქაც სოფო, იქაც სოფო

სოფო შავთაშვა, რომელიც მოსკოვში 75 ათას დოლარიან საჩოგბურთო ტურნირზე გამოდის წყვილებში ყაზახ პალკინასთან ერთად, უკრაინელ კაპშაისა და ლატვიელ კუზმინას მე-4 ნომრად განთესილ დუეტთან დაძაბულ დაპირისპირებაში დამარცხდა — 6:7, 7:6, 7:10.

სოფო ახლა ერთეულთა შორის შეჯიბრში ცდის ძალებს და მე-3 ნომრად განთესილ რუს ეკატერინა ბიჩკოვას შეხვდება.

ლემსო მაისურაძე



სოფო შავთაშვა

მურამ დოღანაშვილის ფოტო

გუჯარაბაის პირველი პაკისტანური

ცნობილმა ქართველმა მთამსვლელმა ბიძინა გუჯარაბაიძემ მეწყვილე ავთო ცინცაძესთან ერთად, 8 000-იანი მწვერვალი გაშერბრუმ 1 დალაშქრა და ქართული ალპინიზმის ისტორიაში, პაკისტანში პირველი შედეგიანი ექსპედიცია დაასრულა.

ქართველმა მთამსვლელმა მწვერვალი 29 ივლისს დალაშქრეს, საშინელი უამინდობის პირობებში, ამინ, როცა ბევრი სხვა ექსპედიცია სირთულეებს შეუშინდა და უკან დაბრუნდა. გაშერბრუმ 1 მსოფლიოს 8 000-იან მწვერვალებში სიმაღლით მეთერთმეტეა და მისი დალაშქრა პირველად 1958 წლის 5 ივლისს ამერიკელი ნიკოლას გლინიჩის გუნდმა შეძლო.

გუჯარაბაიძისა და ცინცაძის წყვილი სამშობლოში 14 აგვისტოს დაბრუნდება.


ლემსო მაისურაძე



მურამ დოღანაშვილის ფოტო



30 ქართული ოლიმპიური



ჰელსინკი 1952

(10 სპორტსმენი საქართველოდან)
ოლიმპიური ჩემპიონები
 ლავით ციმაკურიძე
 თავისუფალი ჭილაობა
 29.05.1925 — 8.05.2006
 გელია ჯუღელი
 ტანვარჯიში
 1.08.1925
 რაფაელ ჩიმიშვიანი
 კალოსნობა
 23.01.1929

პრცხლის მდალოსნები
 გელა ჯუღელი
 ტანვარჯიში
 1.08.1925
 ოთარ შორქია
 კალათბურთი
 10.05.1923 — 12.03.2005
 ნოდარ ჯორჯიძე
 კალათბურთი
 15.10.1921 — 2.06.2008
 ლევან სანაძე
 მძლეოსნობა (4X100 მ)
 16.08.1928 — 29.08.1998
ბრინჯაოს მდალოსნები
 ნაღჟა სნიკინა-ღვალისვილი
 მძლეოსნობა (200 მ)
 24.06.1933
 ნინო ღუმბაძე
 მძლეოსნობა (ბადრო)
 23.05.1919 — 14.04.1988



მელბურნი 1956

(10 სპორტსმენი საქართველოდან)
ოლიმპიური ჩემპიონები
 გივი კარტოზია
 ბერძნულ-რომაული ჭილაობა
 29.05.1929 — 3.04.1998
 მირიან ცაქალაგანიძე

თავისუფალი ჭილაობა
 28.02.1927 — 4.08.2002
ბრინჯაოს მდალოსნები
 ნაღჟა სნიკინა-ღვალისვილი
 სიგრძეზე სტობა
 24.06.1933
 ვახტანგ ბალაგაძე
 თავისუფალი ჭილაობა
 20.10.1927
 რომან კნელიძე
 ბერძნულ-რომაული ჭილაობა
 19.01.1938 — 9.04.1966
 გიორგი სნირტლაძე
 თავისუფალი ჭილაობა
 9.11.1932
 ბორის ნიკიტინი
 ცურვა (800 მ თავისუფალი)
 5.03.1939 — 20.10.1984
 ნოდარ გვასარია
 ფეხბურთი
 3.02.1932 — 13.11.1996



რომი 1960


(16 სპორტსმენი საქართველოდან)
ოლიმპიური ჩემპიონები
 რობერტ შავლაყაძე
 მძლეოსნობა (სიძლეუზე სტობა)
 1.04.1933
 ავთანდილ შორიძე
 ბერძნულ-რომაული ჭილაობა
 11.04.1935 — 12.04.1966
პრცხლის მდალოსნები
 გიორგი სნირტლაძე
 თავისუფალი ჭილაობა
 9.11.1932 — 27.03.2008
 გურამ მინაშვილი
 კალათბურთი
 25.11.1936
 ვლადიმერ უბრახელიძე
 კალათბურთი
 18.08.1939
 ლერი გოგოლაძე
 ფეხბურთი
 1.04.1938
 გივი ჩიქვანია
 ფეხბურთი
 30.04.1939
ბრინჯაოს მდალოსნები
 გივი კარტოზია
 ბერძნულ-რომაული ჭილაობა
 29.05.1929 — 3.04.1998
 ვლადიმერ რუბაშვილი
 თავისუფალი ჭილაობა
 21.12.1940 — 2.02.64
 გურამ კოსტავა
 ფარიკაობა
 18.06.1937



ტოკიო 1964

(16 სპორტსმენი საქართველოდან)
ოლიმპიური ჩემპიონები
 ნუზარ ასათიანი
 ფარიკაობა
 16.07.1937 — 2.04.1992
 ვაჟა კატარაძე
 ფრენბურთი
 2.01.1937
პრცხლის მდალოსნები
 რომან რურუა
 ბერძნულ-რომაული ჭილაობა
 25.11.1942
 გურამ საღარაძე
 თავისუფალი ჭილაობა
 21.03.1939
 შოთა ქველიაშვილი
 სროლა
 1.01.1938 — 26.04.2004
 ლევან მოსეშვილი
 კალათბურთი
 23.05.1940
ბრინჯაოს მდალოსნები
 ანზორ კიკნაძე
 კიულო
 26.03.1934 — 6.06.1977
 ზარნაოზ ჩიკვილაძე
 კიულო
 14.04.1941 — 20.06.1966
 ლავით გვანცელაძე

ბერძნულ-რომაული ჭილაობა
 28.03.1937 — 1.05.1984
 ნოდარ სოსავილი
 თავისუფალი ჭილაობა
 28.09.1940
 გურამ კოსტავა
 ფარიკაობა
 18.06.1937




მესიკო 1968

(14 სპორტსმენი საქართველოდან)
ოლიმპიური ჩემპიონები
 ვიქტორ სანეძე
 სამსტომი
 3.10.1945
 რომან რურუა
 ბერძნულ-რომაული ჭილაობა
 25.11.1942
პრცხლის მდალოსნები
 შოთა ლომიძე
 თავისუფალი ჭილაობა
 20.01.1936 — 23.10.1994
 დიტო შანიძე
 კალოსნობა
 8.08.1937
ბრინჯაოს მდალოსნები
 ზურაბ საკანდელიძე
 კალათბურთი
 9.08.1845 — 25.01.2004
 სერგეი კოვალენკო
 კალათბურთი
 11.08.1947



მიუნხენი 1972


(16 სპორტსმენი საქართველოდან)
ოლიმპიური ჩემპიონები
 ვიქტორ სანეძე
 სამსტომი
 3.10.1945
 ლევან თედიაშვილი
 თავისუფალი ჭილაობა
 15.03.1948
 შოთა ჩოჩიშვილი
 კიულო
 10.07.1950
 ვიქტორ კრატასნიუკი
 ნიგონსობა
 30.01.1949 — 16.03.2003
 ზურაბ საკანდელიძე
 კალათბურთი
 9.08.1945 — 25.01.2004
 მიხეილ შორქია
 10.09.1948 — 6.02.2004
პრცხლის მდალოსნები
 დიტო შანიძე
 კალოსნობა
 8.02.1937
ბრინჯაოს მდალოსნები
 ომარ უსაბაძე
 ველოსპორტი
 12.08.1944 — 21.05.1993
 გივი ონაშვილი
 კიულო
 27.07.1947
 მურთაზ სურცილაძე
 ფეხბურთი
 5.01.1943
 რევაზ კოჭავაძე
 ფეხბურთი
 11.04.1945



მონრეალი 1976


(11 სპორტსმენი საქართველოდან)
ოლიმპიური ჩემპიონები
 ვიქტორ სანეძე
 სამსტომი
 3.10.45
 ლევან თედიაშვილი
 თავისუფალი ჭილაობა
 15.03.1948
 ალექსანდრა ანცილოვოვი
 სელებურთი
 18.01.1954
პრცხლის მდალოსნები
 რამაზ ხარშილაძე
 კიულო
 16.01.1951
ბრინჯაოს მდალოსნები
 შოთა ჩოჩიშვილი
 კიულო
 10.07.1950
 მიხეილ შორქია
 კალათბურთი
 10.09.1948 — 6.02.2004

ჩემპიონი და პირიჭიშკრები




**OLYMPIAD 80
MOSCOW MOSCOW MOCKBA**

მოსკოვი 1980
(16 სპორტსმენი საქართველოდან)
ოლიმპიკი ჩემპიონები
ქეთევან ლოსაბარიძე
ფიგურალური ღია
1.08.1949
ზოთა საბარელი
კიულო
26.12.1958
ვასტანო ბლავიძე
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
23.01.1957
ვერცხლის მედალოსნები
ვიქტორ სანევი
სამბო
3.10.1945
თემურ სუბულუბი
კიულო
24.05.1955
საიდა გუნბა
მკლავოსნობა
(მუხის ტყორცვა)
30.08.1959
ალექსანდრე ანდროპოვი
18.01.1954
ბრინჯაოს მედალოსნები
ლიანა ცოტაძე
ფეხბურთი
5.06.1961
ნიკოლოზ დერიუბინი
კალათბურთი
30.04.1959
ალექსანდრე ჩიკაძე
ფეხბურთი
8.04.1955
თემურ სულაქველიძე
ფეხბურთი
23.07.1956
რევაზ ჩელაძე
ფეხბურთი
2.10.1945



ლევან თედიშვილი



Games of the XXIIIrd Olympiad Los Angeles 1984

ლოს ანჯელესი 1984
(ბოიკოტი)

GAMES OF THE XXIVTH OLYMPIAD SEUL 1988

სეული 1988
(16 სპორტსმენი საქართველოდან)
ოლიმპიკი ჩემპიონები
ნინო სალუქვაძე
ტყვიის სროლა
1.02.1969
დავით გობეჯიშვილი
თავისუფალი ჭიდაობა
3.01.1963
ვლადიმერ აფციაური
ფარიკაობა
4.02.1962
ლადო გოგოლაძე
ტანვარჯიში
18.08.1966
გელა კეტაშვილი
ფეხბურთი
27.09.1965
ვერცხლის მედალოსნები
ნინო სალუქვაძე
ტყვიის სროლა
1.02.1969
ლერი საბალოვი
თავისუფალი ჭიდაობა
5.07.1964
ბრინჯაოს მედალოსნები
ვასტანო იაგორაშვილი
თანამედროვე ხუთბრტყიანი
5.04.1964
მაია აჯარაშვილი
მკლავოსნობა (4x100 მ)
6.04.1964
გიორგი თენაძე



ნუგზარ ასათიანი



გელა კეტაშვილი

კიულო
24.05.1962
ამირან ტოტიკაშვილი
კიულო
21.06.1969
ვისნილ გიორგაძე
ფეხბურთი
14.03.1961



Barcelona '92

ბარსელონა 1992
(12 სპორტსმენი საქართველოდან)
ოლიმპიკი ჩემპიონები
დავით სახალეიშვილი
კიულო
28.02.1971
ლერი საბალოვი
თავისუფალი ჭიდაობა
5.07.1964
კასი კასიაშვილი
კალოსნობა
13.07.1969
ბრინჯაოს მედალოსნები
ლევან მუსხი
ჩოგბურთი
5.01.1968


სათუნა ძვინიშვილი
ფიგურალური
10.01.1974
დავით გობეჯიშვილი
თავისუფალი ჭიდაობა
3.01.1963
რამაზ ფალიანი
კრივი
31.08.1973
გიორგი კოდუაშვილი
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
26.04.1969



Atlanta 1996

ატლანტა 1996
(36 სპორტსმენი საქართველოდან)
ბრინჯაოს მედალოსნები
სოსო ლიპარტიანი

კიულო
3.02.1971
ლუკა კურტანიძე
თავისუფალი ჭიდაობა
16.04.1972



Sydney 2000

სიდნეი 2000
(36 სპორტსმენი საქართველოდან)
ბრინჯაოს მედალოსნები
გიორგი ვაჩაბაშვილი
კიულო
19.04.1974
ვლადიმერ ტანტურიანი
კრივი
1.07.1978
გიორგი ასანიძე
კალოსნობა
30.08.1975
ლუკა კურტანიძე
თავისუფალი ჭიდაობა
16.04.1972
აკაკი ჩაჩუა
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
16.09.1969
მუსრან ვასტანაძე
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
22.01.1973



ATHENS 2004

ათენი 2004
(33 სპორტსმენი საქართველოდან)
ოლიმპიკი ჩემპიონები
ზურაბ ჯვიაღაური
კიულო
2.07.1981
გიორგი ასანიძე
კალოსნობა
30.08.1975
ვერცხლის მედალოსნები
ნესტორ ხერბიანი
კიულო
20.07.1975
რამაზ ნოზაძე
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
17.09.1983

არჩილ უღენტის დანახული კოკოშკოვი ქართველი სერბის დისციპლინას ხედავს



იგორ კოკოშკოვი და არჩილ უღენტი

გასული სეზონი ბოლო იყო არჩის უღენტის სათამაშო კარიერაში. ყველასთვის კარგად ნაცნობმა გამთამაშებელმა ბურთის დევნას თავი საბოლოოდ დაანება და მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი. ის, როგორც ყველა ახალბედა მწვრთნელი, ბავშვებში მუშაობით შეუდგა საქმიანობას, თუმცა ახლახანს ისეთი საჩუქარი მიიღო ფედერაციისგან, უკეთეს ალბათ ვერც ინატრებდა. არჩილ უღენტი დროებით ეროვნული ნაკრების ახალი მწვრთნელი, სერბი იგორ კოკოშკოვის ასისტენტად დაინიშნა. სანამ დავით უსტიაშვილი ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზეა, სერბ სპეციალისტს ასისტენტობას უღენტი გაუწევს. არჩილთან ამას წინათ სათამაშო კარიერის დასრულებასთან დაკავშირებით ვაგაკეთეთ ინტერვიუ, ახლა კი იმ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს, მასზე იგორ კოკოშკოვი რომ მოახდინა

— ამაზე უკეთესი რა უნდა მომხდარიყო ჩემთვის. მწვრთნელობა ახალი დაწყებული მაქვს, ვცდილობ, რომ ყველაფერი შევითვისო, რაც ამ საქმეს უკავშირდება და ამ დროს ისეთი გამოცდილი სპეციალისტის გვერდით მიწევს მუშაობა, როგორც საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალი თავკაცი იგორ კოკოშკოვი.

— მოულოდნელი იყო შენთვის კოკოშკოვის თუნდაც დროებით ასისტენტად დანიშნა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ უფრო სასიხარულო იყო, ვიდრე მოულოდნელი. კოკოშკოვი ძალიან ძლიერი მწვრთნელია. მას ნბა-ში 9 წელი უმუშავია, სადაც ისეთი ცნობილი მწვრთნელების მარჯვენა ხელი იყო, როგორებიც ლარი ბრაუ-

ნი და ფლობ სონდერსია. იგი სერბული სკოლის წარმომადგენელია და თან ნბა-ში მუშაობის არცთუ ხანმოკლე სტაჟი უმაგრებს ზურგს. ერთი სიტყვით, ძალიან კარგი მწვრთნელი გვყავს და მეჯერა, რომ ის ყველაფერს გააკეთებს, ჩვენი ნაკრები A დივიზიონში რომ გადაიყვანოს.

— როგორია მისი ვარჯიშები, ძალიან განსხვავდება ის ქართველი მწვრთნელების ვარჯიშებისგან?

— თავისთავად განსხვავდება, თუმცა იმის თქმა მინდა, რომ ყველა მწვრთნელს ინდივიდუალური მიდგომა აქვს მოთამაშეებისადმი. კოკოშკოვი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს აზროვნებას. მისი მთავარი მიზანი მოთამაშეში საკალათბურთო აზროვნების გაღვივებაა.

კი მოსწონს, კალათბურთელი რომ გულთ ვარჯიშობს, არაფერს რომ არ იშურებს, მაგრამ კოკოშკოვს სულს ამ მონდობებს გონება მხვილობაც ახლდეს.

— საქართველოს ნაკრებში ვინაა ისეთი, რომელსაც მონდობა, ან გონებასიმახვილე აკლია?

— ყველა ძალიან მონდობეულია და ნიჭი რომ არც ერთს არ აკლია, ეს ცხადზე უცხადესია. ყველას აქვს თავისი პლუსი, სხვანაირად ისინი ეროვნულ ნაკრებში ვერ მოხვდებოდნენ.

— გამოდის, საფუძველი კარგია და წესით, მიზანსაც უნდა მივალწვიოთ.

— რასაც მე ვუყურებ, კოკოშკოვის გაწვრთნილი გუნდი სულ წინ და წინ მიიწევს. ყოველი ვარჯიში

წინაზე უკეთესია როგორც ზარის-ზობრივად, ისე გუნდური სულისკვეთების გათვალისწინების მხრივ. მეც ვყოფილვარ ნაკრებში და შეხებაც მქონია, როცა აღარ ვთამაშობდი, მაგრამ ასეთი მონდობა და მობილიზება იშვიათად მინახავს. რაც ყველაზე მთავარია, ნაკრებში სუფევს ძალიან სასიამოვნო, მეგობრულ ურთიერთობებზე დამყარებული ურთიერთობები. ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახლობლობის ხაზით დისციპლინამ იკლოს. კოკოშკოვი საკმაოდ ავტორიტეტანია საიმისოდ, რომ ვინმემ მას ურჩობა დაუწყოს. ჯერ არავის არ დაურღვევია დისციპლინა და ალბათ ასე იქნება საკვალიფიკაციო ციკლის დასრულების ბოლომდე.

ირაკლი პერტაია

ქართველები დასარჩენად აბეზენ

სამართველო 75:90 გულბარითი
14:24 15:20 17:19 29:27
სამართველო: შერმადინი (24), მათიაშვილი (18), შენგელია (10), გულისაბედაშვილი (5), ნივნივაძე (5), ჯგერენია (5), გაფრინდაშვილი (4), ფაცაცია (2), პირველაშვილი (2)

სამართველო კალათბურთელთა 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე უიღბლობის გამო ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა და ახლა A დივიზიონში დასარჩენად ბრძოლა სხვა ჯგუფების უცუდე სწავლებებთან, საბურთეთთან, ბულგარეთთან და სლოვენისთან მოუწევს.

დავით უსტიაშვილის გაწვრთნულმა იტალიას კი მოუწევს, მაგრამ ეს საქარისი არ აღმოჩნდა და ახლა პლეი ოფის დრო დადგა, სადაც ჩვენებმა პირველი თამაში ბულგარეთთან ჩაატარეს და წააგეს.

სხვა თამაშების მსგავსად აქტიურობდა გიორგი შერმადინი, ბლომად ქულები დააგროვა რიჩარდ მათიაშვილმაც, ვინც მანამდე დიდად ვერ ყოჩაღობდა, მაგრამ ეს ბულგარეთის დასამარცხებლად საქარისი არ აღმოჩნდა.

ახლა ჩვენები კიდევ ორ თამაშს ჩაატარებენ საბურთეთთან და სლოვენისთან და ორივე დაპირისპირების მოგება მოუწევთ, რომ თავი დაიკარგონ, თორემ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვება არ ეყოს ელიტაში დასარჩენად...

ლემსო მანუშაძე

გატუტი

პეკინში ფინალი, ლონდონში მედალი

სოფერია გოლოვინას რპიანს უფერს



პეკინის ოლიმპიადაზე მონაწილე 35 ქართველი სპორტსმენიდან ყველაზე უმცროსი, 18 წლის, ბატუტზე მსტომელი ლუბა გოლოვინა იქნება, რომელმაც ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, სხვა საერთაშორისო ტურნირებზეც საკმაოდ კარგი შედეგები ჰქონდა და ახლა ოლიმპიადაზე ცდის ძალებს.

16 უძლიერეს ბატუტისტს შორის, ლუბა გოლოვინას ასაკში ოლიმპიადაზე მოხვედრა უკვე ნარმატებად უნდა შეფასდეს, მაგრამ ამ გოგონამ თავისი საოცარი შედეგებით ბოლო წლების განმავლობაში უფრო მეტის სურვილი გაუჩინა ქართველ ქომაგს და ეს არცაა გასაკვირი. რას უნდა ელოდოს ქართველი გულშემმატკივარი გოლოვინასგან? რამდენად კარგად არის მომზადებული? და, საერთოდ, რა იქნება მთავარი ფაქტორი ოლიმპიადაზე კარგად გამოსვლისთვის? ამ კითხვებზე ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი რუსუდან ხოფერია პასუხობს...

— ლუბა ძალიან პატარაა და, მიუხედავად ამისა, 16 ბატუტისტს შორის მოხვედრა შეძლო, რაც, უდავოდ, დიდი წარმატებაა. ვფიქრობ, მას შეუძლია ფინალურ ეტაპზე რვა საუკეთესო ბატუტისტს შორის მოხვდეს, იქ კი ყველაფერი თავიდან იწყება. ბატუტი სპეციფიკური სახეობაა, ყველა ნიუანსს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და გამორიცხული არაფერია. თუმცა ახლა გოლოვინასთვის რვა საუკეთესოში მოხვედრა კარგ შედეგად უნდა შეფასდეს და დიდი იმედი მაქვს, რომ ამას შეძლებს...

— რამდენად კარგ ფორმაში ხვდება ოლიმპიადას, თუნდაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ჯერ პატარაა, მაგრამ უკვე ბევრს სთხოვენ...

— დასკვნითი მოსამზადებელი ეტაპი უკრაინაში გაიარა, მანამდე კი ესპანეთში საერთაშორისო ტურნირზე გამოვიდა, სადაც კანადელი და ბელარუსი სპორტსმენების გარდა, ყველა ლიცენზიანტი იყო. ლუბამ ესპანეთში მე-4 ადგილი აიღო. იმის თქმა მსურს, რომ კარგ ფორმაშია და, რაც მთავარია, ოლიმპიადაზეა. წინასწარ რაიმის განსაზღვრა მართლა რთულია. მეგონი, არც ფსიქოლოგიურად უნდა გაუჭირდეს. შედარებით გამოუცდელი კია, მაგრამ, სამაგიეროდ, თუნდაც ასაკის გამო, ნაკლებად უნდა ნერვიულობდეს. მე ლუბას ასაკში საერთოდ არ ვნერვიულობდი, მერე და მერე უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძობ და საფიქრალიც ვემატება.

— რა არის ლუბას მთავარი კოზირი და, პირიქით, სუსტი მხარე?

— ოლიმპიადაზე, ძირითადად, ორი ვარჯიშის შესრულება მოუწევს. პირველი საჩვენებელი ვარჯიშია, რომელშიც გადამწყვეტი ფაქტორი ესთეტიკური შესრულებაა, მეორე კი ვარჯიშიც არის და ესთეტიკური მხარეც. ლუბა პირველ ვარჯიშს საოცრად კარგად აკეთებს და სწორედ იქ მოპოვებულმა ქულებმა უნდა

მისცეს რვა საუკეთესოში მოხვედრის საშუალება; რადგან მეორე ვარჯიში შედარებით უჭირს და აქ 8-9 ბატუტისტი, რომლებიც ალბათ აჯობებენ.


— მთავარი კონკურენტები მანც ვინ იქნებიან?

— რუსი ირინა კარავაევა, ჩვენი თანამემამულე, მაგრამ გერმანიის სახელით მოსაპარეზე ანა დოლონაძე, უკრაინელი, კანადელი ბატუტისტები, ასევე ჩინელებს ჰყავთ კარგი გოგონები. საერთოდ, დიდი კონკურენციაა, მაგრამ ახლა მთავარი ისაა, რომ ჩამოთვლილ სპორტსმენთაგან უმეტესობა, 5-6 წამყვანი ბატუტისტი, სპორტიდან წავა და მომდევნო ოლიმპიადაზე გოლოვინას მეტი შანსი ექნება. უფრო მეტად დაიხვეწება, გამოცდილებასაც დააგროვებს და პეკინში თურვა საუკეთესოში მოხვედრას ვთხოვთ, ლონდონში მისგან მხოლოდ მედალი დაგვაკმაყოფილებს.

ლემსო მანუშაძე

საზონის საუკეთესო კაცები

Table listing top athletes by weight class (100m, 200m, 400m, 800m, 1500m, 5km, 10km, 3000m, 20km, 50km, 100km, 150km, 200km, 300km, 400km, 500km, 600km, 700km, 800km, 900km, 1000km) with names and scores.



ყველაზე სწრაფად, ყველაზე მაღლა

მელარსობა ყველაზე ტევადი ოლიმპიური სახეობაა და ქალაქებში ცალ-ცალკე ათეულობით დისციპლინას მოიცავს. საყოველთაო შეხედულებით, ვინც მძლეონობაში ყველაზე მეტ მაღალს მოიპოვებს, ოლიმპიადის საერთო ჩათვლაშიც ის მოექცევა თავში, რაც ყველა გიგანტ ქვეყანას უმთავრეს ამოცანად დაუსახავს თავიანთი სპორტსმენებისთვის. წლეულს მძლეონებს გადასარევი სეზონი აქვთ, არც რეკორდები აკლიათ და არც დოპინგსკანდალები, პეკინის ოლიმპიადა კი საყოველთაო მოლოდინით ამ ორივეს ნაზავი სალათა უნდა გამოდგეს. 2008 წელს ხუთი მსოფლიო რეკორდი დამყარდა — სამი კაცებში და ორი ქალებში. სუსტი სქესის ძლიერ წარმომადგენლებში სამძლეონსო სამყაროს თავის გამორჩეულობაში კიდევ უფრო მყარად დაარწმუნა რუსმა ჭოკით მხტომელმა ელენა ისინბაევამ, რომელმაც წლეულს ორჯერ თითო სანტიმეტრი წაუმატა თავისივე მიღწევას და ქალთა თამასა 5,04 მეტრამდე ასწია. კაცთა შორის უდიდესი ათოტაყი ატყდა, ორ უპრესტიჟულეს სახეობაში რეკორდები რომ დაემხო — 100 მეტრზე სირბილში იამაიკელმა უსაინ ბოლტმა 9,72 წამი, თითქმის დაუჯერებელი შედეგი დააქუხა და უფროსი თანამემამულის ასაფა პაუელის რეკორდი დაამხო. 110 მეტრ თარჯრბენში კი კუბელმა დეირონ რობლესმა 12,87-წამიანი სუპერშედეგით გაახუნა ჩინელი ლიუ სიანის რეკორდი და მის თანამემამულეებს ზედ ოლიმპიადის წინ ხასიათი წაუხდინა. სხვათა შორის, ბოლტიც და რობლესიც 21 წლისანი არიან, 1986 წელს დაბადებულებს 2008 წლის ოლიმპიადის დაპყრობაც განუზრახავთ. დოპინგ-სკანდალებს შორის ყველაზე ხმაურიანი უდავოდ რუს ქალთა საქმე იყო. 2007 წელს ანალიზის შედეგების შეცვლის ბრალდებით იაფ-მა შვიდი რუსი მოჩსნა ყოველგვარი შეჯიბრებიდან და მათ შორის სულ ცოტა ოთხნი — სობოლევა, ტომაშოვა, პიშჩალნიკოვა და ხანაფეევა — პეკინში ოქროსთვის ბრძოლას აპირებდნენ.

მანო კობიაშვილი

საზონის საუკეთესო ქალები

Table listing top female athletes by weight class (100m, 200m, 400m, 800m, 1500m, 5km, 10km, 3000m, 20km, 50km, 100km, 150km, 200km, 300km, 400km, 500km, 600km, 700km, 800km, 900km, 1000km) with names and scores.



რუბრიკას
წარმოგიდგინო

Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

კოვალაინენის იჩქარე ნელა



ჰეიკი კოვალაინენი

„მაკლარენ-მერსედესის“ ფინელი პილოტი ჰეიკი კოვალაინენი გახდა ფორმულა 1-ის ისტორიაში მესამე მრბოლი, ვინც დიდი პრიზის მოგება მოახერხა. ჰეიკიმ ამ გამარჯვებას გასულ კვირას უნგრეთში, „ჰუნგარიანგზე“, კარიერის 28-ე რბოლაში მიიღწია.

შეიძლება ითქვას, რომ კოვალაინენის ამ გამარჯვებას ძალზე მოუხდებდა სიტყვები, „იჩქარე ნელა“, რადგანაც რაღაც განსაკუთრებული ფინელ მრბოლს „ჰუნგარიანგზე“ არ გაუკეთებია. ჰეიკიმ, უბრალოდ, უშუალოდ იარა, სხვათა ხარვეზებით მშვენივრად ისარგებლა და პირველად კარიერაში, პირველმა გადაჯვრთა ფინიში სხაზე.

შეგახსენებთ, რომ კოვალაინენი კვალიფიკაციის შემდეგ მეორე იყო თავისი ინგლისელი თანაგუნდელის, ჩემპიონატის ლიდერ ლუის ჰემილტონის შემდეგ, მაგრამ პირველივე მოსახვევში ორივე „მაკლარენს“ „ფერარის“ ბრახილიელმა ფელიპე მასამ გაასწრო და ფინელი მესამე ადგილზე დაქვეითდა. ალბათ, იქვე და-

უკმაყოფილო არც ჰემილტონი დარჩენილა. მიუხედავად შექმნილი პრობლემებისა, ლუისმა მეხუთემ უწია ფინიშს, ოთხი ქულა მიამატა აქტივს და იმის გათვალისწინებით, რომ მასა უქულოდ დარჩა, თავისი უპირატესობა უახლოეს მდევართან კიდევ უფრო გაზარდა.

„ულოცავ ჰეიკის პირველ გამარჯვებას — ჰემილტონმა რბოლის შემდგომ პრესკონფერენციაზე საუბარი თანაგუნდელით დაიწყო — მან შევნიერა რბოლა ჩაატარა. რაც შემეხება მე, ბუნებრივია, უკეთესი შედეგის იმედი მქონდა, მაგრამ მთავარია, რომ ისევ პირველ ადგილზე ვარ და აქედან გამომდინარე, უნგრეთიდან უკმაყოფილო არ მოვდივარ“.

უნგრეთში გამარჯვება ზედიზედ მესამე იყო „მაკლარენისთვის“. თანაც, ინგლისურ-გერმანულმა საჯინებომ სამივე შემთხვევაში „ფერარიზე“ მეტი ქულები მოაგროვა და „სკუდერიასთან“ ჩამორჩენა II ქულაზე შეამცირა. „მაკლარენს“ შეფიქრებულ ღონისძიებებზე, განსაკუთრებით იყო ამ გამარჯვებით და ერთგვარად, ფილოსოფიურად მსჯელობდა: „არის ერთი ასეთი საავტოსპორტო ანდაზა — იმისთვის, რომ ფინიშზე პირველი იყო, პირველ რიგში, ფინიშზე უნდა მიიღწიო — საკმაოდ ბანალურია, მაგრამ სრული ჭეშმარიტება გახლავთ. ძალიან მეცოდება ფელიპე, რომელმაც დიდებული სამუშაო გასწია, მაგრამ ჰეიკიმაც მშვენივრად იბრძოლა. ის მთელი სეზონის განმავლობაში ძალიან სწრაფი იყო და ალაღად იმსახურებს ამ გამარჯვებას. რაც შეეხება ლუისს, მან ცუდად დაიწყო, მაგრამ მეორე პიტსტოპისთვის ისეთი ტაქტიკა გუქონდა შერჩეული, მასსთან ბრძოლას შეძლებდა. თუმცა, საბურავის დაზიანებამ ყველაფერი შეცვალა და მისი მეხუთე ადგილითაც კმაყოფილები ვართ“.

აბას ლომაძე



ფინიშამდე სამი წრით ადრე მასას „ფერარიმ“ ბოლი გაუშვა

ბრწყინვალე რბოლა კოვალაინენის ფინიშით

ზედიზედ მესამე რბოლა, „სკუდერია ფერარი“ თავის უმთავრეს კონკურენტ „მაკლარენ-მერსედესთან“ მარცხდება, მაგრამ, თუ დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის დიდი პრიზების გათამაშების, შესაბამისად, სილვერსტონისა და „ჰოკინგჰემის“ ავტოდრომებზე „ალისფერებს“ პრაქტიკულად მანსი არ ჰქონდათ, „ჰუნგარიანგზე“ უნგრეთის დიდი პრიზი მათ სულ ბოლო მომენტში, ფინიშამდე ათიოდე კილომეტრით ადრე, ფელიპე მასას ბოლიდის ძრავის დაწყებასთან ერთად დაკარგეს.

„ამის არანაირი წინაპრობა, არანაირი გაფრთხილება არ ყოფილა, ყველაფერი მოულოდნელად მოხდა — მოკირებულ იყო — თავიდანვე ვლიდებოდა, ხოლო როესაც ჰემილტონს პრობლემები შეექმნა, ჩემი უპირატესობა მეორე ადგილზე მყოფთან საკმაოდ დიდი გახდა, იმდენად დიდი, რომ აღარ ვრისკავდი. ძალიან გულდაწყვეტილი და დათრგუნული ვარ. არადა, მანქანა იმ ინციდენტამდე მშვენივრად მუშაობდა. სამწუხაროდ, ფორმულა 1-ის რბოლები უმკაცრესი სპორტია, მაგრამ ასეთები ხდება ხოლმე. ახლა მთავარია, ხელები არ ჩამოვუშვათ და მუშაობა გავაგრძელო. წინ კიდევ შეიძლება რბოლა, ანუ 70 ქულის გაკეთება შეიძლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დრო საკმარისია საიმისოდ, დაკარგული პოზიციები რომ დავებრუნო. ჩემი მეტოქეები ძლიერები არიან, მაგრამ უნგრეთში დავამტკიცეთ, რომ ჩვენც მათ დონეზე ვართ“.

თანაგუნდელს გამო უაღრესად გულდაწყვეტილია კიმი რაიკონენი, რომელმაც უნგრეთში სტარტი მეექვსე პოზიციიდან აიღო და საბოლოო ჯამში მესამე ადგილი დაიკავა: „ძალიან სამწუხაროა ის, რაც ფელიპეს და მთლიანად გუნდს შემთხვა. ასე წაგება საშინელებაა“.

აბას ლომაძე

რჩებოდა, მაგრამ შუა რბოლაში ჰემილტონის ბოლიდს წინა მარცხენა საბურავი გაეხვრიტა, ხოლო ფინიშამდე სამი წრით ადრე, მასას „ფერარის“ ძრავამ ბოლი გაუშვა და კოვალაინენსაც ისეა დარჩენოდა, რომ კარიერაში პირველი ტრიუმფი ეხვიდა.

„წლეულს რამდენჯერმე იყო, როდესაც პირველობისთვის ბრძოლა შემეძლო, მაგრამ მუდმივად რაღაც პრობლემები იქმნებოდა — განაცხადა გახარებულმა ფინელმა გამარჯვების შემდეგ — მაგრამ ამ ჯერზე, სადაც შუა გზისთვის, მთელი რიგი გარემოებები ჩემ სასარგებლოდ შემოტრიალდა. როდესაც ლუისმა ბოქსებისკენ დაუგეგმავად გაუხვია, ჩემ წინ მასალა დარჩა და მე ნელ-ნელა დავიწყე მასთან მიახლოება. ვწუხვარ ფელიპეს გამო, მაგრამ ჩემი მანქანაც ძალიან სწრაფი იყო. ჩემთვის ეს დიდი მომენტია და ვიმედოვნებ, რომ ეს მხოლოდ პირველი გამარჯვებაა და მომავალში კიდევ უამრავ დიდი პრიზს მოვიგებ“.

უილიამ ჰილის ფავორიტი ჰემილტონია

„ჰუნგარიანგზე“ გამართული უნგრეთის დიდი პრიზის შემდეგ, საპირველფორმულო ჩემპიონატის ლიდერი კვლავაც „მაკლარენ-მერსედესის“ ინგლისელი პილოტი ლუის ჰემილტონია, ვინც ხუთი ქულას უგებს ფინელ მსოფლიოს ჩემპიონს, „ფერარის“ მრბოლ კიმი რაიკონენს.

არადა, რაიკონენის ბრახილიელი თანაგუნდელის, ფელიპე მასას ბოლიდს ფინიშამდე სამი წრით ადრე ძრავა რომ არ დასწვოდა, სიტუაცია სულ სხვანაირი იქნებოდა, გენერალური კლასიფიკაციის თავში სწორედ მასა გადავიდოდა.

მიუხედავად ასეთი ფონისა, „უილიამ ჰილის“ საბუქმეიკრო კანტორაში ჩემპიონობის უმთავრეს და გამოკვეთილ ფაქტორად ჰემილტონი ითვლება. მის

პირველობაზე ფსონები 1,5/1 კოეფიციენტით მიიღება. „უილიამ ჰილის“ საჩემპიონო სიაში 3,5/1 კოეფიციენტით მეორეზე რაიკონენია, ხოლო მასას, მიუხედავად იმისა, რომ თანაგუნდელს ოდენ სამი ქულით ჩამორჩება, ორჯერ მაღალი, 7/1 კოეფიციენტი აქვს.

ამ სამეულს მკვეთრად ჩამორჩებიან ჰემილტონის ფინელი თანაგუნდელი ჰეიკი კოვალაინენი და „BMW-ზაუბერის“ პოლინელი პილოტი რობერტ კუბიცა, რომელთა ჩემპიონობაზე ფსონები 34/1 კოეფიციენტით მიიღება. მეექვსეზე 101/1 კოეფიციენტით, კუბიცას გერმანელი თანაგუნდელი ნიკ ჰაიდფელდია, დანარჩენ მრბოლებს კი „უილიამ ჰილი“ ჩემპიონობის კანდიდატებად, უკვე აღარ განიხილავს.

აბას ლომაძე

სარბიელი
საორბული გაზეთი
გამოიცვამა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკეპს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ შოთაბერიძე
დირექტორი ბიორბი ოქროშაძე
მთავარი რედაქტორი ბიორბი ღარჯანიძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე აბას შალაბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: კობა ინასაიძე ნუგზარ
ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორჭიალიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი რედაქტორი
პიანჩისკაპა პასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: ვიორგი ახვლედიანი,

ილია ბაბუნაშვილი, ვიორგი ვაშაქიძე,
ვიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხოძორიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ბიორბი ბერიძე
ინფორმაციის რედაქტორი: თამაზ მივრიაული,
ირაკლი პერტაია, ვიორგი სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა ვიორგობიანი, ლალი გოხალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია,
ხათუნა ბუხუნიშვილი, მავდა დოვრაშვილი,
რუსუდანი ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაბეის გამზირი 42, II
პლანეტა, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbili@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbili.com.ge>